

შარშის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №9(95) 2015 წ. 1-15 მაისი ფასი 50 თეთრი

9 მაისი საგარეჯოში

ბიორბი ლეონიძე

არ დაიდარდო დედაო...

1943 წ. ნოემბერის, ტამანის ნახ-

ეზარკუნძულზე მიწასზე უცნობი ძა-
რთმავლი იმერეთის საფლავი, ლეონი
რძედა.

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზე არწივი მეხატა,
ცხრაშვიტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა.
სამშობლოს დროსა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხადა!
ვისაც უნდოდა, ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დაეკარი, ვიყავე მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი...
ნუ დაიდარდებ, დედაო,
მწარე სიკვდილის სევდასა,
ღღუღ, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!
არ დაიდარდო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე,
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე.
მე გაგიხუნე ლეხაქი,
მაგრამ დაგხურე შუქური,
სამშობლოსათვის დავთხიე
სისხლ-ცვარი სიჭაბუკური.
მე არ დამკარგავს სამშობლო,
სულ ვეხსომები ლევანი,
სანამდის საქართველოში
იწურებოდეს მტევანი...
ცხრა ძმათ მეათედ მიმიღეს,
პირზე მყარეს ვარდები,
დაჭრილს,

დამძრალს და გზა დაღლილს
დამხურეს მუზარადები.
თუ გაუჭირდა სამშობლოს,
კვლავ ცეცხლით დავიდაგებით,
ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის

მთებზე დავდგებით.

არ დაიდარდო, დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა,
ღღუღ, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!




9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბიორბი ბონიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ შრიდონ ბურჯულმა და კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორმა ბესიკ ღვინაშვილმა ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავი მიულოცეს და მათთან ერთად ქ. საგარეჯოში სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალური დაფა და სოფელ პატარძელში „გმირთა საფანე“ გვირგვინებით შეამკეს.

ამ დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 16 ვეტერანს ფულადი ჯილდო, საპატიო სიგელები და 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მედლები მათთვის მიძღვნილ საღმრთო-წაულო სადილზე გადაეცათ.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ მეორე მსოფლიო ომის ყველა ვეტერანს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს და ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

გვანცა ჭავჭავაძე



მუნიციპალური გვერდი

საგარეო მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომა



საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 მაისის რიგგარეშე სხდომის ამავე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვინსენტ თეოდორაძე უძღვე...

დის წესრიგის გაცნობის შემდეგ პირველ საკითხზე: „საგარეო მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ნოემბრის №149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მოხსენება გააკეთა თინათინ აბაიძე-შვილი (თანამომხსენებელი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ნიკოლოზ მჭირიანი)

მეორე საკითხზე “შპს “ტრანსპორტის” ლიკვიდაციის შესახებ” საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 20 დეკემბრის №109 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” მოხსენება გააკეთა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მემორიანი.

საკითხის ს/ს “ენერჯო პრო-ჯორჯია” საკუთრებაში არსებული 35 კილოვატიანი “სიონის” ელექტროგადამცემი ხაზის ტერიტორიაზე არსებული ხეების მოჭრის შესახებ” მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის განყოფილების უფროსმა ბებია შვიტრიანი (თანამომხსენებელი საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის კომისიის თავმჯდომარე ელენე მემორიანი)

„ქ. საგარეო კახეთის გზატკეცილი №7-ში მდებარე იძულებით გადაადგილე...

ბულ პირთა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილისათვის წყლის ამქანი ახალი ტუმბოს შესყიდვის, დემონტაჟი - მონტაჟისთვის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ მოხსენება გააკეთა ბებია შვიტრიანი (თანამომხსენებელი ელენე მემორიანი)

საკითხი „საგარეო მუნიციპალიტეტის სოფელ მანაში ბურჯინის დახიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეკეთების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ“ დეპუტატებს გააცნო ბებია შვიტრიანი (თანამომხსენებელი ელენე მემორიანი);

„მედიპროექტ “ეტალონი” გამარჯვებული საგარეო მუნიციპალიტეტის სოფელ ბადაურის სკოლის XI კლასის მოსწავლე ირაკლი ხარბაშვილისთვის სტიპენდიის დანიშნვის შესახებ მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილის შემსრულებელმა არჩილ ჯაბაძემ (თანამომხსენებელი საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მემორიანი)

საკითხი „ქ. საგარეო-ში კახეთის გზატკეცილი №12ა -ში მცხოვრები ვახტანგ დიდიშელაშვილის საცხოვრებელი ბინისათვის ნუმერაციის მინიჭების შესახებ“ სხდომის მონაწილეებს ელენე მემორიანი გააცნო.

სხდომაზე საკრებულოს წევრებმა თითოეულ განხილულ საკითხზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

გაიზარდა ბრანტები მოწონებლმა ინფრასტრუქტურა

საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის თინათინ აბაიძე-შვილის მოხსენება მოსმინეს, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებას ეხებოდა. სწორედ ამ საკითხზე გვესაუბრება ქ. თინათინ.

– ქ. თინათინ, რამ გამოიწვია ცვლილებების შეტანის აუცილებლობა 2015 წლის ბიუჯეტის იმ დადგენილებაში, რომელიც საკრებულოს მიერ 2014 წლის 21 დეკემბერს მიღებული?

– აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანა გამოიწვია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებამ და ამავე მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებამ. საგარეო მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 3310994 ლარით, გადასახდელები 3463081 ლარით.

3297,446 ათასი ლარით გაიზარდა ბრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით ჩვენი მუნიციპალიტეტიდან წარდგენილი 11 პროექტიდან დაფინანსდა 8 ინფრასტრუქტურული პროექტი, რაზედაც გამოყოფილია 2285,150 ათასი ლარი.

შეგახსენებთ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით 2015 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 1012,296 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით საგარეო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში ბანსახდელად განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- 1) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 1894,659 ათასი ლარი; ქ. საგარეო-ში ერეკლე II-ის ქუჩის ასფალტის საფარის და ტროტუარების მოწყობა-602,400 ათასი ლარი; ქ. საგარეო-ში თამარ მეფის ქუჩის ასფალტის საფარის და ტროტუარების მოწყობა-401,130 ათასი ლარი; ს. გორგოწმინდაში ასფალტის საფარის მოწყობა-150,029 ათასი ლარი; სოფელ ბადაურში ასფალტის საფარის მოწყობა-350,050 ათასი ლარი; სოფელ კაკაბეთში ასფალტის საფარის მოწყობა-391,050 ათასი ლარი.



2) განათლების ხარჯები გაიზარდა: ქ. საგარეო-ში კოსტავას ქუჩაზე არსებული საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია-138,346 ათასი ლარი; სოფელ მანაშის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია-150,729 ათასი ლარი; სოფელ გომბორში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია-101,416 ათასი ლარი;

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით 2015 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხები:

- 1) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში დაემატა 187,154 ათასი ლარი;
- 2) წყლის სისტემის რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვის ხარჯებში დაემატა 521,613 ათასი ლარი;
- 3) გარე განათების მოწყობის ხარჯებს დაემატა 52,992 ათასი ლარი;
- 4) კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების ხარჯებს დაემატა 68,694 ათასი ლარი;
- 5) ხეების კალაპოტების გამაგრება-გაწმენდის ხარჯებს (ნაპირსამაგრი სამუშაოები) დაემატა 43,217 ათასი ლარი;
- 6) სანიტარულ არსების აღდგენის ხარჯებს დაემატა 43,217 ათასი ლარი;
- 7) სარწყავი არსების გაწმენდა-რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 57,895 ათასი ლარი;
- 8) განათლების ხარჯები გაიზარდა 32,255 ათასი ლარით;
- 9) სოფლის ამბულატორიების მომსახურების ხარჯებს დაემატა 15,864 ათასი ლარი;

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით (ბანსული წლის ნაშთიდან) დაფინანსდა:

წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები 50 ათასი ლარით.

ქ. საგარეო-ში გაბონის მოწყობა - 20000 ლარით;

ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 60000 ლარით;

მუნიციპალიტეტის რაგბის ჯგუფის დაფინანსებას დაემატა 40000 ლარი; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 2000 ლარით (სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად); ომის მონაწილეთა დახმარება 9 მაისისთვის 1500 ლარი (თითოეულზე დამატებით 100 ლარი);

23400 ლარით შემცირდა საწვავის ხარჯები, 21413 ლარი გამოაკლდა ბიუჯეტს, სამხედრო სამსახურის საწვავის აუთვივებელი თანხა გადატანილია არაფინანსური აქტივების ზრდაში, ასევე 6513 ლარი შრომის ანაზღაურებიდან გადატანილია არაფინანსური აქტივების ზრდაში (8500 ლარი) სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად.

– თუ არის კიდევ მოსალოდნელი მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა?

– წინასწარ რაიმეს თქმა გამჭირდება, ენახოთ, მომავალში რა იქნება.

რვა მუნიციპალიტეტში

სასმელი წყლით მოსახლეობის

მომარაგებისათვის

მიმდინარე წლის იანვრიდან საგარეო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღემდე სხვადასხვა სახის სამუშაოები შესრულდა სასმელი წყლის დახიანებული ცენტრალური მაგისტრალის შესაკეთებლად. ასე, მაგალითად:

თეგორგალ-მარტში სოფელ უბანოს სასმელი წყლის დახიანებული ცენტრალური მაგისტრალის შესაკეთებელი სამუშაოებისათვის საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12 თებერვლის №20 განკარგულების საფუძველზე 970 ლარის სამუშაოები ინდემქარმე “სურაბ დეკლარინის” მიერ შესრულდა;

თეგორგალ-აბრში სოფელ კაბაბეთში დახიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის ე.წ. “დერინის წყლის” შესაკეთებლად კი, რომელზედაც საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12 თებერვლის №20 განკარგულების საფუძველზე 19982 ლარი გამოიყო. სამუშაოები ინდემქარმე “ვაკო ანუაშვილის” მიერ შესრულდა;

თეგორგალ - აბრში სოფელ ბადაურში დახიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეკეთებას 2847 ლარი მოხმარდა (შემსრულებელი ინდემქარმე “დავით კავთაშვილი”);

აპრილ-მისში სოფელ უბანოში სასმელი

წყლის დახიანებული ცენტრალური მაგისტრალის შეკეთების სამუშაოებს 984 ლარი მოხმარდა (შემსრულებელი ინდემქარმე “სურაბ დეკლარინი”)

ამაში აბრში საჭირო გახდა სასმელი წყლის შემკრები რეზერვუარებისა და ჭაბურღილებისთვის დახიანებული ტუმბოების ამოცვლა;

სოფელ წყაროსთაში მოხდა სასმელი წყლის შემკრები რეზერვუარში დახიანებული სასმელი წყლის ჩაყვინთული ტუმბოს, მართვის ფარის, 2 მეტრი ელსადენი 3*15-ის, 6 მეტრი ელსადენი 3*6-ის შესყიდვა-მონტაჟი (გამოყოფილი თანხა 3990 ლარი, შემსრულებელი ინდემქარმე “ოთარ ძეგლაძე”);

საგარეო მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის მიმდებარე არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილისთვის შექმნილი იქნა 1 ცალი ჩაყვინთული ტუმბოს ძრავი, 60 მეტრი ტროსი და 60 მეტრი ელკაბელი (4442 ლარი, შემსრულებელი შპს “PN” დირექტორი პაატა გოგიშვილი). სოფელ ბიორბიჭინის ე.წ. “მირზანთუბ-

ნის” მიმდებარე არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილისთვის შექმნილია 1 ცალი ჭაბურღილის, 150 მეტრი ელ. კაბელი, და სხვადასხვა საჭირო მასალები (6984 ლარი - შემსრულებელი შპს “PN”).

სოფელ მარტში სასმელი წყლის რეზერვუარისთვის შექმნილია 1 ცალი ჩაყვინთული ტუმბო და სხვადასხვა მასალები (3961 ლარი, შემსრულებელი შპს “PN”)

მარტში სოფელ მანაშის სასმელი წყლის დახიანებული მილის ამოცვლელად შექმნილია 300 მეტრი პოლიეთილენის მილი და 40 მმ-იანი და 300 მეტრი პოლიეთილენის მილი დ-25 მმ-იანი;

იანვარ-მარტში სოფელ წყაროსთაში დახიანებული სასმელი წყლის მილის ამოცვლელად შექმნილია 220 მეტრი პოლიეთილენის მილი დ-40 მმ-იანი;

იანვარ-მარტში სოფელ ბიორბიჭინისათვის - 180 მეტრი სიგრძის პოლიეთილენის მილი დ-40 მმ-იანი;

იანვარ-მარტში სოფელ შიგლიანისათვის - 200 მეტრი პოლიეთილენის მილი დ-20 მმ-იანი; სოფელ დიდი ჩაიჭურისთვის - 150 მეტრი პოლიეთილენის მილი დ - 20 მმ-იანი.

12 მაისი მუხანბრეთა და მავშელთა პროფესიული დღეა!

სამსახური, რომელიც ხალხს მათი დაუღებრობის შედეგებისგან იხსნის



ფრიდონ გერასიმოვი და ალექსანდრე გერასიმოვი

სახანძრო წესების უგულვებელყოფას, ადამიანების ზერელე, უპურადღებო დამოკიდებულებას, დაუღებრობას ხშირად ადამიანებისთვის საგანგაშო და ზოგჯერ ფატალური შედეგები მოსდევს. მუხანბრები კი თავიანთი მამაცური მოქმედებით, საკუთარი ჯანმრთელობის და სიცოცხლის რისკის ფასად ცდილობენ რამენაირად გამოასწორონ ადამიანის უგუნური ქმედების შედეგები, დაუპყვიან იხსნან ქონება, სარჩო-საბადებელი, მათი სიცოცხლე. სწორედ ასეთი ადამიანები არიან გაერთიანებულნი საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო განყოფილებაში, რომელთაც არაერთხელ გაუმართლებიათ მათზე მინდობილი ხალხის იმედი, დაწვისა და განადგურებისგან უსწრაფეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები, ვენახები, საძოვრები, ტყეები, საცხოვრებელი ბინები და ზოგჯერ მათი სიცოცხლეც. ხანძრის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთ მუშტად შეკრულ კოლექტივში, სულ 31 მუშაკია გაერთიანებული: უფროსი ზაქარია ოტიაშვილი, მისი მოადგილე – ფრიდონ გერასიმოვი, შვიდი მძღოლი, ოთხი ინსპექტორი, სამი დისპეტჩერი, ამდენივე ოცეულის მეთაური, 14 – მუხანბრე-მაშველია.

– მიმდინარე წლის 10 იანვრამდე სამ-

სახური საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში იყო – 10 იანვრის შემდეგ კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დაქვემდებარა, – გვეუბნება **განყოფილების უფროსი ზაქარია ოტიაშვილი**, რომელსაც ამ სამსახურში 23 წლიანი მუშაობის გამოცდილება აქვს. მასზე უფრო “სტაჟიანი” მუხანბრეა მისი მოადგილე ფრიდონ გერასიმოვი, რომელსაც წელს აქ მუშაობის 40 წელი შეუსრულდა. ისინი აქ, როგორც იტყვიან ე.წ. საბჭოთა პერიოდიდან მუშაობენ და თავიანთ მხრებზე აქვთ გადატანილი ყველა იმ ხანძრების, მათზე გამარჯვებისა თუ მარცხის სიმძიმე, რასაც ამ ხნის მანძილზე საგარეჯოს რაიონში ჰქონდა ადგილი და არამარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში. ერთი სიტყვით, თუ არ ჩავთვლით სახანძრო მანქანებს, მათზე სტაჟიანი სადღესოდ განყოფილებაში არავინ მუშაობს და ისინიც წლების მანძილზე დაგროვილ თავიანთ გამოცდილებას ყოველდღიურად გადასცემენ ახალგაზრდა მუხანბრებს. მუხანბრეებად კი მართლაც მამაცი და უღალატო ადამიანები ჰყავთ, რომელნიც თავსა და ჯანმრთელობას არ ზოგავენ ხანძრისგან განსაცდელსა და გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანების ქონების გადასარჩენად. სწორედ ამის დადასტურებაა ის, რომ გასულ წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა სამსახურის II მუშაკი, პირადე სამსახურის უფროსი, მისი მოადგილე, მუხანბრები გაიოს ბეციაშვილი, გურამ ალექსანდრევი, გოგიტა ხიზანიშვილი, დევან კუჭუაშვილი, ჯემალ ოსიაშვილი, ბეჟან ილაური და სხვები. განყოფილებაში სათუ-

თად ინახავენ და უფრთხილდებიან იმ სამაღლოველ წერილებს, რაც მათ ზემდგომი ორგანოებისგან გადაეცათ გორში, ახალციხესა და ყვარულში ტყეებში განეხილი ხანძრების ქრობაში მიღებული აქტიური მონაწილეობისა და გამოჩენილი მამაცობისათვის.

ხანძრების ქრობისას მიღებული გამოცდილების გარდა, განყოფილებაში რეგულარულად ტარდება სხვადასხვა მეცადინეობები საბრძოლო მზადყოფნის და ტექნიკის დასახვეწად. – გაფორმებული გვაქვს მემორანდუმში საქართველოს „წითელი ჯვრის“ ადგილობრივ ორგანიზაციასთან, რომელთა თანამონაწილეობით საგარეჯოს ყოფილი პოლიტექნიკური ტექნიკუმის და მესამე საჯარო სკოლის შენობაში ჩავატარეთ იმიტაციური მიწისძვრის საჩვენებელი ღონისძიებები, რაშიც ჩვენთან ერთად მონაწილეობა მიიღეს გურჯაანის სახანძრო-სამაშველო სამსახურის მუშაკებმა და ჩვენს მიერ ჩატარებულმა სახანძრო-სამაშველო სამუშაოებმა დამსწრეთა კარგი შეფასება დაიმსახურა, – გვეუბნება განყოფილების უფროსი, – გასულ წელს ხანძარი სოფელ უდაბნოში ერთ-ერთ მონასტერთან განჩნდა და იმდენად გაძლიერდა, რომ ჯანდარის ტბამდე გადავიდა. ჩვენი მუხანბრები, რომ იტყვიან, ფეხდაფეხ მიდევდით ხანძარს და ვაქრობდით. ამ დამსახურებისათვის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ხანძრის ქრობაში მონაწილე 10 მუხანბრე 100-100 ლარით დაგვაჯილდოვა.

– **ეს რაც შეეხება წინა წელს, როგორია ხანძრების წლებადმი სტატისტიკა?**

– წლებადმი ხანძრებისა და ყველაზე ხშირი – ტყის ხანძრები გვქონდა, რომელთაც მთლიანი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 36 შემთხვევა შეადგინა. ამას გარდა,

ადგილი ჰქონდა ღია ტერიტორიების, ავტომანქანების ხანძრებს. 5 ხანძარგანეხილი ავტომანქანიდან შევედით ოთხის გადარჩენა, ერთი კი დაიწვა. გვექონდა გახვლები ავტოსაგზაო შემთხვევებზე, სამაშველო გამოძახებებზე: გიორგიშვილის „ციფზე“, ატენის ხეობაში, დედოფლისწყაროში, გომბორის ავტოსაგზაო საგუშაგოს მიმდებარე ტერიტორიაზე განეხილი ხანძრის და სხვა მასიურ შემთხვევებზე, თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გატარებული ერთობლივი სამაშველო მუშაობის შედეგად ისინი ნაკლებზარალიანი იყო.

– **პროფესიულ დღესასწაულს საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო განყოფილება კვლავ ძველი ტექნიკით ხელდება. თუ არის რაიმე იმედები იმისა, რომ წელს მაინც დაადგეს საშველი ამ ტექნიკის გამოცვლის საქმეს, რომ განყოფილებას მეტი შანსი გაუზრდეს ხანძრებთან ბრძოლის და მისი შედეგების მინიმუმამდე შესამცირებლად?**

– როგორც ზემოთ აღვნიშნე, იანვრიდან ჩვენი სამსახური ახალ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დაქვემდებარდა, შესაბამისად განჩნდა დაპირება და იმედი, რომ მოხდება განყოფილების გადაიარაღება და თანამედროვე სტანდარტების დონეზე აღჭურვა. უამისოდ, როცა წუთებიც კი წვეტს ხანძრების შედეგებს, გავიჭირდება ძველი ავტომანქანების გამოყენება, რომელთაც ათასგვარ სირთულეს ვეციქვინან ხანძრების ქრობის დროს. მანამდე კი ვეცდებით ამ პირობებშიც გაგამართლოთ ჩვენს მიმართ გამოცხადებული ნდობა და როგორც ადრე, კვლავაც დაეცვათ ხალხის ქონება და დოვლათი ხანძრებისგან.

პ. ლაბაძეშვილი



ცისიერ დიდგელაშვილი

პატარძელის სკოლა-ლიცეუმის (დირექტორი ცისიერ დიდგელაშვილი) დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლეები მთლიანად მოტივირებული არიან იმ წარმატებების მისაღწევად, რომელიც შეიძლება XXI საუკუნეში განათლების სფეროში მიაღწიოს სკოლის მოსწავლემ. ჩვენი გახეთის ფურცლებზე არაერთხელ გვისახებია ამ წარმატებების შესახებ. რაოდენ სახიზაროა, რომ ჩვენ, რედაქციის მუშაკთა მხარდობით მათი წარმატებებისა ჩვევად იქცა და არც არასოდეს დაგულაღატებოვართ. ახლაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწემ შალვა კრიხელმა პირველმა გვამცნო მათი მორიგი წარმატება. ბატონი შალვა ჩვენი მუნიციპალიტეტის განათლების სისტემის დიდი გულშემატკივარი და ქომაგია და ჩვენც გავგიზიარა თავისი დიდი სიხარული: – სკოლა-ლიცეუმის კიდევ ორმა მოსწავლემ გამოიმგონებულთა საერთაშორისო ოლიმპიადაში, რომელიც ევროპის ქვეყნების მოსწავლეთათვის იყო, პირველ ათეულში დირსეული ადგილი დაიკავა და ჯილდოდ სექტემბერში იტალიაში გამართულ კონფერენციაში მოუწვევთ მონაწილეობის მიღება. აღნიშნულ კონკურსში, რომელსაც “ათასწლეულის ინოვაცია” ჰქვია გამარჯვებულები, პატარძელის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის მეთორმეტე კლასელები გვანცა

ნარჩატბული მოსწავლეები მათგან კიდევ ბევრ ნარჩატბულს მოველით

და მადონა გიუნაშვილები რედაქციაში გვეწვიენ. სახალისო, საინტერესო მათთან საუბარი და ყველაზე სასიამოვნო აღმოჩნდა მათი ის დიდი სიყვარული და მაღლიერება, რომელიც სკოლა-ლიცეუმის დირექტორის, პედაგოგების მიმართ აქვთ.

აი, რა გვითხრეს გოგონებმა:

– **ჩვენ ვართ პატარძელის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის XII კლასის მოსწავლეები მადონა გიუნაშვილი და გვანცა გიუნაშვილი. ლიცეუმში სწავლის შედეგად მივაღწიეთ დიდ წარმატებებს. სამი წლის წინ ქალბატონმა ცისიერ დიდგელაშვილმა, როგორც მოტივირებული მოსწავლეები პატარძელის სკოლიდან ლიცეუმში მიგვიწვია უფასო სწავლებაზე. ჩვენი წარმატება პირველივე წლიდან დაიწყო. გასულ წელს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურში გამარჯვებისათვის სამი კვირა გავატარეთ “პაქს-ვუდის” საზღვრულ ბანაკში. მე, მადონა გიუნაშვილმა „ფრანკოფონია 2013 წლის“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში გავიმარჯვე და ფრანგული ენის ინსტიტუტში გავიარე უფასო კურსი ორი თვის განმავლობაში. არასამთავრობო ორგანიზაცია “მოქალაქის” მიერ გამოცხადებულ პროექტში “გახდი მოქალაქე” ლიცეუმის სამმა მოსწავლემ გადავლახეთ I ეტაპი და მივიღეთ ღირსეული პრიზები, ხოლო გვანცა გიუნაშვილმა გადალახა II ტურიც და დასაჩუქრდა სპეციალური საჩუქრებით. ასევე გავიღეთ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის III ტურში, სადაც გვანცა გიუნაშვილი მოხვდა საუკეთესო ათეულში ფრანგულ ენაში. „ფრანკოფონია 2015 წლის“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მადონა გიუნაშვილმა დაიკავა II ადგილი და დასაჩუქრდა ფასიანი საჩუქრებით.**

ჩვენ მონაწილეობას ვიღებდით გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადაში, რომელიც “ათასწლეულის ინოვაციის” სახელწოდებით არის ცნობილი. წარვადგინეთ პროექტი, რომლის სახელწოდებაცაა “საკვები კონცენტრირებული ტყავის

გადამუშავების ნარჩენების ბაზაზე”. ეს არის კომპინირებული საკვები ცხველებებისათვის მიღებული ტყავის წარმოების ანარჩენის – გლემურების და სიმინდის შერევა, ექსტრუდირში ერთობლივ შრომის შედეგად. პროექტი ინოვაციურია, რადგან წარმოებისას გამოიყენება ტყავის ანარჩენი. საწარმოო პროცესი უწყვეტია და საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი და გავზარდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა. პროექტის მიზანია მაღალი კვებითი ღირებულებების მქონე საკვების მიღება, რომელიც ჩანაცვლებს გენმოდიფიცირებულ, ცილით მდიდარ პროდუქტებს.

ჩვენს სკოლას ნარჩენებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. პროექტის იდეა ეკუთვნის გუნდის ხელმძღვანელსა და სკოლის დირექტორს ქალბატონ ცისიერ დიდგელაშვილს. ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენი პროექტი მოხვდა ათ საუკეთესო პროექტში “ათასწლეულის ინოვაციის” კონკურსის ფარგლებში და სულ რამდენ-

იმე დღის წინ აღნიშნულმა პროექტმა ახალგაზრდა გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე მოიპოვა ევროპის მედალი. სექტემბერში პროექტს წარვადგინთ იტალიის ქალაქ მილანში ახალგაზრდა გამომგონებელთა საერთაშორისო კონფერენციაზე.

გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ პირველ რიგში ჩვენი სკოლის დირექტორს ქალბატონ ცისიერ დიდგელაშვილს, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში გვიჭერს მხარს და ჩვენი სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, განსაკუთრებით კი ფრანგული ენის პედაგოგს ქალბატონ მარინა დიდგელაშვილს, რომელმაც სულ მცირე დროში შეგვასწავლა ფრანგული ენა მაღალ დონეზე.

გვინდა წარმატების მაძიებელთა საყურადღებოდ განაცხადოთ, რომ პატარძელის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმში X კლასში აცხადებს იმ წარმატებული მოსწავლეების მიღებას უფასოდ, რომლებიც ფლობენ ერთ-ერთ ევროპულ უცხო ენას A2-ის დონეზე და დაინტერესდებიან საბუნებისმეტყველო საგნებით. სკოლა-ლიცეუმში ამ მოსწავლეებს მოამზადებს საერთაშორისო კონკურსებისათვის.



მადონა და გვანცა გიუნაშვილები

უაზიზოზა ბამარჯვიძის 70-ე წლისთავი

ოპის ძეგლად სავალი პილიპიდან

უაზიზოს საბარჯოს რაიონის ჭაბუკები და ქალიშვილები ახორციელებ

70 წლის წინ, მაისის დასაწყისში გადაიქუხა სამამულე ომმა, რომელსაც საბჭოეთის მოკავშირე სხვადასხვა რესპუბლიკებიდან საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც შეეწირა. ნუ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ ომში საქართველოდან 700 ათასზე მეტი ჯარისკაცი იღებდა მონაწილეობას, საიდანაც მშობლიურ კერას 350 ათასზე მეტი ვეღარ დაუბრუნდა და მათგან 90-მა პროცენტმა სამუდამო განსასვენებელი რუსეთისა თუ ევროპის მიწაზე, ძმათა სასაფლაოებზე, ან სულაც გაუგებ ჭაობებსა და უდრან ტყეებში პოვა. არც ერთი მათგანი უსახელოდ არ მომკვდარა, ყველა ფაშისხმის წინააღმდეგ მსოფლიო მასშტაბით გაშლილ ბრძოლას შეეწირა, თუმცა მავანთა აზრით, იმ პერიოდში ისინი თითქოს მხოლოდ საბჭოეთის მიწის დასაცავად იბრძოდნენ. იმ ოთხწლიანმა ომმა ვინ მოთელის რამდენი პატარა ბავშვის, მოზარდის, სრულწლოვანის სიცოცხლე შეიწირა შიმშილის, სიცივის, უწყალობისა და უექიმობის, უსახსრობის გამო. რამდენი ოჯახი იმსხვერპლა – მარჩენალდაკარგული, რამდენი ინვალიდი, ფსიქიურად აშლილი ადამიანი გახდა შრომისუნარო?! ბრძოლით, ქარ-ცეცხლსა და ტყვეების წვიმით გაიარეს სხვებთან ერთად ჩვენი რაიონიდან გაწვეულებმა. ბრესტის ციხესიმაგრის კედლებს, რომლებმაც პირველი დარტყმა მიიღეს გერმანელებიდან, დღესაც

ატივია პირველი მსხვერპლი თოხლიაურელი 19 წლის ვაჟაკის, სადარჯოზე სულ 10 წუთის წინ დამდგარი ი. შალვაშვილის სისხლი. იქვე, მეორე შენობის კედელს კი ცარცით ქართულად დაწერილი – “ მოგვედებით, მაგრამ არ დავნებდებით!” გიორგი სოხაშვილი. ეს ის გიორგიშინდელი გიორგი სოხაშვილია, პედაგოგი, ჯარში რომ გაიწვიეს და მეუღლე – პედაგოგი ეთერი შიოშვილი 11 თვის შვილთან დატოვა. წავიდა, წავიდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოსახლეად, მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულა – ისიც და თავისი თანამებრძოლებიც გერმანელებმა ციხე-სიმაგრის ეზოშივე დახვრიტეს ოთხი დღის წინააღმდეგობის შემდეგ. ომის წინა საღამოს კი გიორგიშინდელმა სამსონ მარდაშვილმა, (რომელიც 1938 წელს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში იყო გაწვეული, დივიზიაში ქართული ჭიდაობის წრე გახსნა, გიორგიშინდიდან მეგობრებმა შორეულ ბრესტში ქართული საჭიდაო ჩოხები გაუგზავნეს) სწორედ 21 ივნისს, საღამოს დივიზიაში ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრი გამართა. გვიან დაწვინდნენ დასაძინებლად ბიჭები, ერთმანეთს ემოციებს, შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ და გათენებისას როცა, ჯერ კიდევ არ ეძინათ ბიჭებს, ფაშისტური გერმანიის პირველი დარტყმა სწორედ მათ მიიღეს თავიანთ თავზე. იმ დღეების ბრძოლების გმირები

გახდნენ სამსონ მარდაშვილიც და მისი თანამებრძოლებიც, რომლებიც დღესაც ბრესტის მიწაზე განისვენებენ... მეორე სამამულე ომში ჩვენი რაიონიდან რაიონის კომისარიატში არსებული მონაცემებით 3410 კაცი იყო გაწვეული, მათგან უგზო-უკვლოდ 2588 კაცია დაკარგული. საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკთა მიერ მოპოვებული მონაცემებით კი ომიდან 2765 კაცი აღარ დაბრუნებულა. მათ შორის: საგარეჯო – 448 კაცი ბაღდადი – 8 ბოგდანოვკა – 64 გიორგიშინდა – 199 გომბორის სასოფლო საბჭო – 114 ყანდაურა – 91 ზემო ყანდაურა – 76 იორმურანლოს სასოფლო საბჭო – 142 კაკაბეთი – 319 კრასნაგორკა – 55 მანავის სასოფლო საბჭო – 283 ნინოწმინდა – 145 წყაროსთავი – 49 პატარძელი – 317 უჯარმა – 52 შიბლიანი – 39 ჩაილური – 138 ხაში – 170 დუხაგარამის სასოფლო საბჭო – 56

სამამულე ომის ქარცეცხლიანი გზები განვლეს საგარეჯოელმა ქალიშვილებმა მანანა მჭედლიშვილმა და რუსუდან ხეხელაშვილმა. მანანა მჭედლიშვილმა ტყვეობისას საფრანგეთში ქართველ მეცნიერს ექვთიმე თაყაიშვილს შეაფარა თავი, რუსუდანმა კი ბრძოლის ველზე დაჭრილი ჯარისკაცების მოვლა-პატრონობისას ასეულობით დაჭრილი სიკვდილს გადაარჩინა. ომის შემდეგ ორივე დამსახურებული ჯილდოებით დაუბრუნდნენ მშობლიურ საგარეჯოს და მედიცინის დეპარტამენტში დაწესდა საგარეჯოს რაისაავადმყოფოში. ყოველი დღე ჩვენთვის, ქართველი ქრისტიანებისთვის წინაპრების მიმართ მადლიერებით უნდა თენდებოდეს და დამდეგობდეს. და კიდევ – ზრუნვაში მომავალი თაობების საზოგადოებისათვის სრულფასოვან მოქალაქეებად აღზრდისათვის. მოდით, პატივი მივუთხოვთ მათ, ვინც ომის ძნელად სავალ გზებზე ვაჟაკურად იარა, თავი დასდო სამშობლოს ფაშისხმისგან დახსნისთვის, ვინც თავი გასწირა და უცხო ქვეყანაში გულზე დასაყრელად ერთი მუჭა ქართული მიწა იკმარა, და მათაც, ვისი საფლავიც არავინ იცის, მაგრამ ზეციური საქართველოდან ისევ საქართველოსთვის ხელუბრაპრობილი ღოცულობენ – ქართული ჯიშის და გენის არ გადაშენებისთვის!

მამის ბახსენება

ოპის ქარ-ცეცხლს გაღარჩენილი



მშორფასო მამისხვერპლი! სითამამეში ნუ ჩამოთვლით პატარა ჩანახატი მივუძღვნა მამანემის გახსენებას, რომელმაც დიდი, სირთულეებით სავსე, მაგრამ საინტერესო ცხოვრება გაიარა...

მამანემი, რომან ენაველი, დაიბადა 1916 წლის 2 ოქტომბერს სოფელ პატარძელში გლეხის ოთხშვილიან ოჯახში, მამამისი - იოსებ ენაველი იყო დურგალი, აკეთებდა ურმებს და გარე კახეთში ცნობილი იყო თავისი ხელობითა და კარგი კაცობით.

შვიდწლედის დამთავრების შემდეგ მამამ სწავლა გააგრძელა თბილისის ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში.

შემდეგ იყო ოთხწლიანი სავალდებულო - სამხედრო სამსახური ქალაქებში ჩიტაში და ირკუტსკში, რამაც დიდი გამოცდილება შესძინა და შემდგომში გამოადგა სამამულე ომის სამხედრო ოპერაციებში. მამა ხშირად იმეორებდა სუვოროვის აფორიზმს: “трудно в учений - легко в бою”.

1941 მაისში დემობილიზებული იყო ჯარიდან, მალევე დაიწყო დიდი სამამულე ომი და პირველი დღეებიდან ჩაერთო ბრძოლებში.

ყველა კარგად ვიცით რა რთული, სისხლისმღვრელი, უთანასწორო ბრძოლები იყო ომის პირველ წლებში. დიდი დანაკარგებით იხვედნენ უკან ჩვენი ჯარისკაცები. წელიწადნახევარი იბრძოდა მამა თანამებრძოლებთან ერთად უკრაინა-ბელორუსიის ფრონტზე. იხსენებდა, რომ მიიმე ბრძოლები მიდიოდა თითო გოჯი მიწისთვის, რომ კვირაობით ალყაშემორტყმულები იყვნენ და ტყვეები და ჭაობებში იმალებოდნენ. ქანცაწვევები, ბრძოლები და დიდი დანაკარგებით გამოდიოდნენ სამშვიდობოზე.

1942 წლის ნოემბერში პოლტავის ოლქის

სოფელი დობროე რამდენიმეჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. მამა თავისი ოცუვლით თავს აფარებდა ერთ უკრაინულ ოჯახს. ოჯახში ცხოვრობდნენ მოხუცი პაპა კუხმა ნიკოლაევიჩი დემიანენკო და 17 წლის შვილიშვილი - ნატაშა გალუშკო.

ერთ დღეს ფართომასშტაბიანი ბრძოლის დროს ავიაციის, ტანკების და ბოლოს ფეხოსნების მონაწილეობით მამა მიიმე დაიჭრა ტანკსაწინააღმდეგო ჭურვის ნამსხვერვეთ ბარძაყში.

მიიმე დაჭრილი აფეთქების ტალღამ ტბაში გადააგდო. ბედზე ნაპირთან ახლოს იყო და ნელ-ნელა ამოცოცდა. საღამო დგებოდა, ყინავდა. მის გვერდით თავში დაჭრილი ახალგაზრდა გერმანელი კვდებოდა. ბრძოლის შემდეგ მოსახლეობა გამოდიოდა საკვების საშოვნელად. ბედზე მოხუცი კუხმა ნიკოლაევიჩი და მისი შვილიშვილი ნატაშა მოადგნენ. მამა იცნეს, ფარაჯაზე დააწვიეს და სოფელში წაიყვანეს. სახლის სხვენში თივის ბულულში დამალეს, რომ გერმანელებს არ მოეგოდა. მამა გვიამბობდა: “ბევრი სისხლი დაკარგვ, გონებას ხშირად ვკარგავდი და მესიზმებოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული კაცი, ის თავს დამტრიალებდა, ეს წმინდა გიორგი იყო და მან გადამარჩინა!” ყოველ წელს წმინდა გიორგის სალოცავში მიდიოდა, ღოცულობდა და შესაწირს სწირავდა.

ერთი თვის შემდეგ ჩამოიარა საინტერესო ბატალიონმა და სხვა დაჭრილებთან ერთად წაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ.

მდინარის გაღმა ნაპირზე ქალაქ მოლოტოვში ლენინგრადის ევაკუირებულ პოსპიტალში ორი რთული ოპერაცია გაუკეთეს, ნამსხვერველი ბარძაყის ძვლის ტრანსპლანტაცია ჩაუტარეს და ერთი წელი იქ იწვა. მამა პირველი ჯგუფის ინვალიდი გახდა და დემობილიზაციის შემდეგ პატარძელში დაბრუნდა.

სოფელში ვერავენ ვერ იცნო. ყველას მამამისი ეგონათ, იმდენად შეცვლილი და დაბერებული იყო 27 წლის ახალგაზრდა კაცი. შემხვედრები ყველა თავის ახლობელზე ეკითხებოდა, ხომ არ გინახავს.

გავიდა კიდევ ერთი წელი, ჭრილობები მოუშუშდა და მამანემი თავის პროფესიას დაუბრუნდა, რომელიც ძალიან უყვარდა. მან დაუწერებლად დაამთავრა მოსკოვის ტოპოგრაფიის, გეოდეზიისა და აეროფოტოგრაფიის ინსტიტუტი.

ყოველ წელს მაისის დასაწყისიდან დეკემბრის ბოლომდე მივლინებაში ატარებდა კოლეგებთან ერთად. საქართველოს ყველა კუთხე ჰქონდა არაერთხელ შემოვილილი და გადატანილი რუკებზე, ხოლო ზაფხულის არდადეგებზე დედა, ჩემი უმცროსი და და მე თან მივყავით.

მინდა ვთქვა, რომ მამა შეყვარებული იყო საქართველოზე, მის უღამაზეს კუთხეებზე, ბუნებაზე, ხალხზე, სიმღერებზე და ცეკვებზე. თვითონაც კარგად მღეროდა ხალხურ სიმღერებს, ფანდურზე და გიტარაზე უკრავდა. კარგი თამადა იყო. ძალიან ნიჭიერი ადამიანი იყო, თავისი ქვეყნის გულანთებული პატრიოტი, არ გაურბოდა სიმწველეს, უშიშარი და პირდაპირი ადამიანი იყო. ამასთან ერთად იყო თბილი და თავმდაბალი. უყვარდა სხვების დახმარება.

ძალიან უყვარდა ქართული პოეზია, ანდაზები, თქმულებები, განსაკუთრებით უყვარდა და ზეპირად კითხულობდა ნაწვევებს “ვეფხისტყაოსნიდან”, ილიას და ვაჟას ლექსებიდან თუ პოემებიდან, რა თქმა უნდა, გოგლა ლეონიძის ნაწარმოებებს. ლეონიძემ ხომ მთელ საქართველოს გააცნო და შეაყვარა თავისი ლექსებით პატარძელი.

ერთხელ, ხარგალში, „ვაჟაობაზე“ მოყვარულთა შორის ჩატარდა პოეტის ლექსების კითხვის კონკურსი. მამამ განიმარჯვა და დღესაც ვაჟკის ჯილდოდ მიღებული პოეტის ნაწარმოებების კრებული სამასსოფრო წარწერთ. ასევე ვინახავთ ჭადრაკის დაფას ხის ღამაში ფიგურებით, რომელიც მამამ თიანეთში მოყვარულთა ბლიც-ტურნირში გამარჯვებულმა მიიღო. ეს საწერები ოჯახური რელიქვიაა და დღეს ჩემი შვილიშვილები - ნოდარიკო და ნიკოლოზ დიდმელაშვილები და მათი დედა სოფიკო შაქარაშვილი თამაშობენ.

ტოპოგრაფებს ბევრი საჭირო ინვენტარი ჰქონდათ, მათ შორის დიდი თეოდოლიტი, რომელიც ყუთში იყო და ცხენს აკიდებდნენ. ლანდშაფტის გადაღების დროს თეოდოლიტს ამარგებდნენ მადალსამფხა შტატივეზე. ის 25-ჯერ ადიდებდა. ერთხელ მამამ ზაფხულის დამეს სავსე მთვარის დროს დააყენა თეოდოლიტი, ჩვენ და მეზობლის ბავშვებს სავსე მთვარე თავისი ფანტასტიკური სველიპირით და პლანეტები გვაჩვენა. ეს ხდებოდა თიანეთში და ჩვენ მე-V და მე-III კლასის მოსწავლეები ვიყავით. განსაკუთრებით ყველაზე განსხ-

ვავებული პლანეტა - სატურნი მოგვეწონა. ეს დაუვიწყარი საღამო იყო. ჩვენ იმ დამეს ჩავკვიტარდა ასტრონომიის პირველი გაკვეთილი.

კვირაობით დავეყავით მდინარეზე თევზის საჭერად. მდინარეებზე წელის წისქვილები იდგა და საათობით ვუყურებდით წყლით წისქვილის თვლებს ტრიალს და სიმინდის ფქვას. ხშირად ტყეში მივყავით და დიასახლისისთვის წაბლის ფოთლები მოგვეტონდა კეცებში მჭადისთვის ჩასაფხნად. ჩემი ჰერბარიუმი ყველაზე მდიდარი იყო, რომლის შეგროვებას ბოტანიკის მასწავლებელი გვთხოვდა.

ზამთარში მამას დიდ მასშტაბში გადაჭრდა რუკებზე ის, რასაც პატარა რუკებზე ხაზავდა ზაფხულობით. ეს იყო მთები და ველ-მინდვრები, ტყეები, ტბები და მდინარეები, სოფლები თავისი სახნავ-სათესით და ა. შ. მე ძალიან მაინტერესებდა, ვეკითხებოდი პირობით ნიშნებზე. ალბათ, ამან შემაყვარა გეოგრაფია.

იავრიდან აპრილის ბოლომდე მამა თბილისში იყო და ყოველ კვირას ხან კინოში, თეატრსა თუ ოპერაში, ხან მუზეუმებში, მთაწმინდის პარკში, ბოტანიკურ ბაღში დავეყავით. მე ხშირად ვამბობ, რომ ჩვენმა მშობლებმა ბავშვობა ერთ დიდ დღესასწაულად გვიტოვა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

მამამ მთელი საქართველო მოგვატარა, ოცნებად დამჩნა სვანეთის დათვლითურება.

მე რომ დავიბადე, მამა აფხაზეთში მუშაობდა ქლუხორის უღელტეხილი რუკებზე გადაჭრდა. ახალი წლის წინ ჩამოვიდა. თებერვალში 5 თვის ასაკში მომნათლეს. ოჯახში სუფრა იყო გაშლილი და სტუმრები იყვნენ. მოულოდნელად მოვიდა უკრაინელი ახალგაზრდა კაცი პეტრე, რომელიც 15 წლის ასაკიდან პარტიზანებთან ერთად იბრძოდა დიდ სამამულე ომში. ის იყო სოფელ დობროვლიდან, სადაც მამა მიიმე დაიჭრა და გარდაცვლილი ეგონათ. მას ჰქონდა დიდი სია ქართველი ვაჟაკების, რომლებიც მის მიწა-წყალზე დაიდუპნენ. მას ოჯახები უნდა მიენახულებინა და ეცნობებინა ცუდი ამბავი. სტუმარმა ორმაგი სიხარული განიცადა მამას ნახვით და მისი შვილის ნათლობით. ის რამდენიმე დღე დატოვეს ოჯახში. შემდგომში წლების მანძილზე მიწერ-მოწერა გვქონდა მასთან და გალუშკოს ოჯახთან. ქალბატონი გალუშკო გვწერდა, რომ ჩვენს წერილებს მეზობლებს და თანასოფლელებს უკითხავდა.

გავიდა წლები. ომის შემდეგ მამა

ვაშიზოზი ბამარჯვიძის 70-ე წლისთავი

მანაველი „გარდაცემული“ – მისთვის „კარლო“



1940 წლის შემოდგომაზე 19 წელი შეუსრულდა შალვა მათიაშვილს და სამხედრო-საავიაციო სამსახურშიც გაიწვიეს. მალე დიდი სამამულო ომი დაიწყო და სამხედრო ხელოვნებაში ჯერ კიდევ გაურკვეველ მანაველ ჭაბუკს და მის თანაპოლკელებს იარაღით ხელში მოუხდა ფაშისტური გერმანიის გამოცდილ, კარგად შეიარაღებულ ნაწილებთან უთანასწორო, სისხლისმღვრელ ბრძოლებში ჩაბმა. პირველ სისხლს, პირველ დამარცხებებს, გვერდით მყოფი თანამებრძოლების სიკვდილს, საბჭოთა ნაწილების უკანდახევის, ყოველდღიური ყოფნა-არყოფნის განცდა-სიმწარეს მალე სხვა განსაცდელი დაერთო – სხვა დაჭრილ თანამებრძოლებთან ერთად უკრაინაში ტყვედ ჩავარდა. შემდეგ იყო პოლონეთის, იუგოსლავიის ტყვეთა ბანაკების გაუსაძლისი პირობები, ავადმყოფობით, შიმშილითა და ტანჯვა-წამებით სულამთხილი უთვალავი ადამიანი... როგორღაც მოახერხა და იუგოსლავიაში გერმანელთა ესკადრონის ცხენების მოძველად მოეწყო. კვების და თავლების დასუფთავების გარდა, ცხენები საძოვრად და დასანაყრებლად მდინარესთან გაქაფავდა, წმენდნენ, ასუფთავებდნენ, წყალში აბანავებდნენ. სწორედ აქ გაიცნეს და დაუახლოვდნენ იტალიელ პარტიზანებს, რომლებიც თავდაპირველად აქაურ გლეხებად ახადებდნენ თავს. კარგა ხნის დაკვირვების და გამოცდის შემდეგ კი თავიანთ ვინაობაში გამოუტყდნენ და ტყვეობიდან გაქცევის გეგმაც შესთავაზეს.

რომელ ტყვეს არ უტრიალებს თავში ტყვეობიდან თავდახსნის, გაქცევის ფიქრები, მით უმეტეს გაუსაძლისი ფაშისტური ზეწოლის ქვეშ მოქცეულ ადამიანებს და

შალვა მათიაშვილმა რამდენიმე სხვა ტყვესთან ერთად იტალიელთა ხელშეწყობით და დახმარებით აპენინებში დაბანაკებულ „გარდაცემულს“ შეაფარა თავი. იტალიელმა პარტიზანებმა მასავით მიიღეს გერმანელთა ტყვეობიდან თავდახსნის შალვა და სხვა ქართველი მებრძოლები. ჩააცვეს, დააპურეს და მისცეს საშუალება იარაღით ხელში დამდგარიყვნენ იტალიის და მთელი მსოფლიოს შვიი ჭირის- ფაშისმის განადგურების სამსახურში. ცნობილია, რომ გერმანიასთან ერთად მასინ ფაშისმი იტალიაშიც „ყვოდა“ და კონსპირაციისათვის იტალიელმა პარტიზანებმა შალვას მეტსახელად „კარლო“ შეარქვეს და მთებში მებრძოლ „რუსულ ბატალიონში“ ჩარიცხეს, რომლის მეთაურიც გახლდათ, შემდგომში სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მთავარი სპეციალისტი ვლადიმერ პერელადოვი, უშუალოდ კი „კარლო“ ირიცხებოდა ამ ბატალიონის რაზმში „მარსალო დუმი“, რომლის მეთაური იყო სოხუმელი მებრძოლი მიხეილ ლაგვილაძე. ამავე რაზმში ორ რუსთან, ჩეხოსლოვაკელ ვაცლავთან, ახალგაზრდა ფრანგ ექიმთან, ცნობილ იუგოსლაველ პარტიზან „ანტონიოსთან“ ერთად იბრძოდა კიდევ ერთი ქართველი - სამტრედიელი ვლადიმერ ბოკუჩავა. ეს რაზმი იტალიელ პარტიზანებთან ერთად შედიოდა „გარდაცემულს“ IV და XI დანაყოფებში, რომლებიც გერმანელთა წინააღმდეგ საბრძოლო-გამათავისუფლებელ ბრძოლებს აწარმოებდნენ აპენინებში ტოსკო-ემილიანოში, კასტელონე დე გარტანიაში, ფანანოში, პალაჯანოსა და ბანი დი ლუკაში, რომლებიც შედიან მდღევანის პროვინციაში და პარტიზანული ომების დროს ითვლებოდნენ „პიპოს“ XI საბრძოლო ზონად.

პარტიზანები მიხეილ ლაგვილაძე (რაზმის მეთაური), ვლადიმერ ბოკუჩავა, შალვა მათიაშვილი იყვნენ ყველა საბრძოლო ოპერაციის აქტიური წევრები ბანი და ლუ-

კას ზონაში, კორელია ანტელმინელში, ბარგაში. ისინი ყოველთვის გამოირჩეოდნენ თავიანთი ვაჟაკობით, ადამიანური სითბოთი, მათ დამოსახურეს იტალიელი პარტიზანების ნდობა და სამარადეო ძმობა, რაც დღესაც გრძელდება. - ვკითხულობთ იტალიის პარტიზანთა ნაციონალური ასოციაციის მოდენას პროვინციის კომიტეტის ერთ-ერთი ამონაწერიდან და ვინ იცის რამდენი განსაცდელი, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნა-არყოფნის, სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად თავგანწირვის მაგალითები იმალეა თითოეული ამ სიტყვის მიღმა.

დაღა იტალიელების და ყველა სხვა ხალხის ნანატრი 9 მაისიც, თუმცა თითქმის სამ წელს იტალიელ პარტიზანებთან ნაბრძოლ და მძაღმეფიველ მემორას მანაველი მხოლოდ 1946 წელს მოუხდა დაბრუნება. შემდეგ იყო ოჯახის შექმნა და შვილების მოვლენით გამოწვეული სიზარული. რეგრებობით მოველინენ ამ ქვეყანას საგარეჯოელებისათვის კარგად ცნობილი პიროვნებები – მაგული, მაგული, ნანა მათიაშვილები. შალვა აქტიურად ჩაება მონატრებული მშვიდობიანი შრომის ფერხულში. მათ შორის ჩადგა და ხელმძღვანელობდა, ვინც კაცის მარჯვენას მონატრებული მანავის მიწაზე ვაზს ახარებდა და საერთო შრომის ფერხულში ჩაბმული ქვეყნის ხვა-ბარაქას ამრავლებდა. მანავის მევენახეობის მფურნეობაში ერთ-ერთი ბრიგადის ხელმძღვანელი ზაფხულობით ბრიგადებში მომუშავე სკოლის მოსწავლეებს ხალხით გვიყვებოდა ხოლმე თავის იტალიურ თავგადასავლებს, გვასწავლიდა იტალიურ სიტყვებს.

1965 წლის ნოემბერში გახეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ლენინგრადელი, ვინმე ანატოლი ტარასოვის წერილი, სადაც საუბარი იყო იტალიაში მებრძოლ ქართველ პარტიზანებზე და ფოტოებით (ხუთი კაცის), რომელშიც ერთ-ერთი შალვა მათიაშვილი გახლდათ. ამრიგად შეძლო ბატონმა შალვამ ომის ადამიანობაში 20 წლის შემდეგ აპენინებში ომის ყოფილი თანამებრძოლების აღმოჩენა რუსეთში, იტალიაში, საქართველოში. ამ წერილის გამოქვეყნების შედეგად მიაგნო მანაველი შალვა მათიაშვილის კვალს „რუსული ბატალიონის“ ყოფილმა კომისარმა ვლადიმერ პერელადოვმა, რომელიც სსრკ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. პარტიის საგარეჯოს რაიკომის მდივნის მედეა მეხერიშვილის დახმარებით იგი დაუკავშირდა მას და ორჯერ-სამჯერ სტუმრადაც გახლდათ მანავესა და საგარე-

ჯოში. იტალიის პარტიზანთა ასოციაციასთან მიმოწერის შედეგად და მათი მიწვევით ბატონ შალვას სხვა ყოფილ ქართველ და რუს „გარდაცემულთან“ ერთად სიცოცხლის ბოლო წლებში თავის საბრძოლო ადგილების მონახულების საშუალება მიეცა. იტალიელი პარტიზანები გულმხურვალედ შეეგებნენ მძაღმეფიველ ქართველ პარტიზანებს. მიუხედავად ამდენი წლის გასვლისა, მათ ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ „კარლო“ და მისი სიმაძვაცის ამბები. იტალიის მთავრობის წინაშე აღიძრა შეამდგომლობა შალვა მათიაშვილსა და სხვა ქართველი „გარდაცემულებისათვის“ იტალიის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ, თუმცა რა გაგრძელება მოჰყვა ამ ამბავს მისთვის გაურკვეველი დარჩა. სიცოცხლის 71-ე წელზე ქვეყნის და იტალიელი ხალხის წინაშე ღირსეულად ვალმოხდილს, სიკვდილის კლანჭებიდან მრავალგზის თავდახსნილს, მაინც მოუწია ამ ქვეყნური ცხოვრების დატოვება და მისი სულიც შეუერთდა დიდ სამამულო ომში დაცემულ იმ 200 მანაველი ვაჟაკის სულს, ვინც თავიანთი სიცოცხლე ფაშისმის კლანჭებიდან კაცობრიობის დახსნის კეთილშობილურ საქმეს შესწირეს.

ბ. ლაბახიშვილი

ნაბილი 73 წლის შემდეგ



ნაბილი საყვარელი მამა, გიცნობ მხოლოდ სურათებით და იმ პატარა სამკუთხა ბარათებით, რომლებსაც დედას უგზავნიდი ქერჩიდან – ბრძოლის ველიდან. იბრძოდი სამშობლოსათვის და შენი საყვარელი ხალხისათვის. დედის ნაამბობით ვიცი, რომ იყავი კეთილი, პატიოსანი და უდალბო. თურმე შეგეძლო არ წასულიყავი, მაგრამ შენ მაინც პირველი წახვედი 1940 წელს ჯარში. იქ მოვისწრო მთელი სამამულო ომმა.

1933-34 წლებში შენ ჩამოყალიბებ სამი უბნის კოლმეურნეობა, რომელსაც სათავეში ჩაუდექი და ეწოდა „საბჭოთა საქართველო“. ბოლოს საგარეჯოს შემსაღაროს გამგედ დაგნიშნეს, იქ მომუშავე ქალბატონები, როცა მხედველობდნენ (ქალბატონი ქეთევან დრეიძე) სულ კარგს მესაუბრებოდნენ შენზე.

შენი სამკუთხა ბოლო ბარათი დედამ მიიღო 1942 წელს. იწერებოდა, რომ სანგარში იმყოფებოდი და გარშემო ცეცხლის ალი მჭინვარებდა „გაი, ჩემო პატარა ცოლ-შვილო, რომ ვეღარ გნახამო.“ ეს შენი სიტყვებია. ამ ბარათს შენი თვალდევნი ჩამონახვანი ცრემლები ასველებდა. მალე მივიღეთ დეგეშა შენი უგზო-უკვლოდ დაკარგავს, გვეტყობინებდნენ, რომ შენი ოცნებები ჩაიფერვლა ქერჩის მიწაზე. მაშინ ჩამოწვა შენი დრუბელი ჩვენს ეზოში და დედამ ჩაიცვა შეგები. ასე დარჩა დიდმეღაშვილების ქალი სიკვდილამდე პატიოსანი ჯარისკაცის ქვრივი.

დედამ ცხოვრებაში დიდი ტვირთი იკისრა. – იყო დედაც და მამაც.

შენი დატოვილი ბარათები, საბუთები დედას საფლავში თან ჩავატანე, იქნებ ამ ბარათებით მოგებნოს და შეხედეთ ერთმანეთს იქ, ცაში, მუდმივ სასუფეველში. დედა სულ ველოდებოდა. ბევრი გაჭირვება გადავიტანეთ – უსახლკარობა, შიმშილი – ერთად გავიზარდეთ. დედა – 19 წლის, მე – 8 თვის.

დედამ ვაპატია არ დაბრუნება. საშინელება ყოფილა მონატრების გრძობა. ჩემო საყვარელო მამა, 10 მაისს 110 წლის გახდები. მოვილოცავ და ამდენ სანთელს დავანთებ შენს სურათთან. ნათელში გამოეფოს უფალმა, ცოლ-შვილზე თვალდარჩენილო ჯარისკაცი.

ესლა კი, ჩემო მამა ამ გახსენებას ჩემი მწარე ცრემლები დაასველებს, როგორც შენ გვემშობლებოდი პატარა სამკუთხა ბარათით.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი ქერჩის მიწა. მოვეფრები შენს სურათს. გააკცებ ბევრს, ძალიან ბევრს.

შენი შვილი
ნუნუ (ზაირა) უსულაძიშვილი

ოქის ქარ-ცეცხლს გადაჩენილი

დასასრული

მამ დაუსწრებლად დაამთავრა მოსკოვის ტოპოგრაფიის, გეოდეზიისა და აეროფოტოგრაფიის ინსტიტუტი და ძირითადად ორ საბროექტო ინსტიტუტში მუშაობდა: „გიპროსემ“-ში და „საქსოფლმშენსახპროექტ“-ში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სამინისტროში. იგი იყო საქართველოში ცნობილი ტოპოგრაფი და მის აზრს დიდ პატივს სცემდნენ.

1969 წელს მამა გავიდა კენსიაზე, როგორც ომის II ჯგუფის ინვალიდი, დაბრუნდა პატარძელში და მუშაობდა მეურნეობაში მიწათმოქმედებად. მან შეადგინა პატარძელის ზონარეკონი წიგნი, რომელიც დღესაც სარგებლობენ. იწვევდნენ სამუშაოდ საგარეჯოში მთავარ მიწათმოქმედებად, მაგრამ ომისდროინდელი ჭრილობები აწუხებდა და უარი თქვა.

პატარძელში მის მშობლებს ჰქონდათ ცარიელი 2400 კვ.მ. ადგილი. თავში ერთი კაკლის ხე იდგა. პატარა სახლი ჩადგა და 100 ძირი ხეილის ხე დარგა. იცოდა მცნობა, საქონლის დაკოვება და ვინც კი სთხოვდა, უარს არ ეუბნებოდა. გაიჩინა ფუტკარი, საქონელი, გაზაფხულით ჩვენი ბაღი იყო საოცარი სანახავე: ყველაფერი ყვოდა, ხის ძირები კირით იყო გათეთრებული, ყოველი ხე შემობარული, არც ერთ ხმელ ტოტს არ ტოვებდა. სოფელში ჩვენს ბაღს „მირურინის ბაღს“ უწოდებდნენ. აქ იყო დარგუ-

ლი ვაშლის, მსხლის, ატმის, ბლების, ალუბლების, ქლიავეების სხვა და სხვა ჯიშის და სეზონის ჯიშები: ბროწეულები, ღვინვები, კენკროვანი კულტურები და კიდევ ბევრი რამ. თავისი გამოყვანილი ნევების სკოლას აკეთებდა და უშუროვლად ყველას ჩუქნიდა. მთელი დღე ფუსფუსებდა, სამუშაოს დროს დიდინებდა ხალხურ სიმღერებს. ერთ ეპიზოდს გავიხსენებ. პაპანკი, მოგახსენეთ ურმების ხელოვანი იყო. მისი სიკვდილის შემდეგ ორი ჩარხი დაგვრჩა. თანასოფლელებს ხშირად მოჰქონდათ ურმის ან ურმის თვლების ნაწილები, ზოგს გამოჩარხვა სჭირდებოდა, ზოგიც ხელით კეთდებოდა. ერთხელ ხაშმელმა კაცმა დიდი ურმის თვალი მოიტანა, მორგეო ჩაშლილი იყო და სულ ხელახლა უნდა და გაკეთებოდა. ძალიან სთხოვა მამას „არაინ აღარ აკეთებოს“. მამამ მასალის მოტანა სთხოვა. ალბათ 3 კვირაში გაუკეთა. „ძალიან ძნელი ყოფილა, მაგრამ მოხოვა შეკეთება და უარი ვერ ვუთხარიო.“ ხაშმში რომ წაიღო, ვიდაცას უნახავს და უკითხავს: „რამდენი წლისაა იხსებ ენაველი, მხოლოდ მას შეეძლო ასე კოხტად და ხარისხიანად გაკეთება“. მას უთხრეს, რომ ეს მისმა შვილმა გააკეთაო. მე ვიყავი იმის მომსწრე, რომ ფული არ გამოართვა.

ნებისმიერ საქმეში იყო სკრუპულოზური და უდალბო. ჩვენს უბნელებს მოუკვდათ პირველი შვილი – 8 თვის ბიჭი და უკითხავთ – სად და ვის გავაკეთებინოთ სასახლე,

საშუალებაც არ ჰქონდათ გაჭირვებულები იყვნენ. მამას ჰქონდა მორჩენილი მასალა და გააკეთა ჩუქურთმებიანი პატარა სასახლე. ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან, რასაც აკეთებდა.

უბნის ბიჭები 20-22 წლისები იყვნენ, როცა სახლს ვაშენებდით პატარძელში. ყველა ერთმანეთს ეხმარებოდნენ მშენებლობის დროს. ამ ბიჭებს ასწავლა ხორცის დაჭრა და ხაშლამის მოხარშვა, თევზის დანაწევრება და მოხარშვა, ხინკლის მოხვევა, შილაფლავის გაკეთება, ჭირისა და ღვინის სუფრის თამადაობა. თვითონ ძალიან მოწესრიგებული ადამიანი იყო ყველაფერში, მათ შორის სუფრაზეც.

არასდროს არ გამოტოვებდა ომის გმირებისადმი მიძღვნილ ზეიმს. 9 მაისს მედლებს გაიკეთებდა კოსტუმზე და სიტყვით გამოდიოდა გმირთა მემორიალთან. ტკივილით იხსენებდა რომ სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის 2 მილიონი ვაჟაკი დაიღუპაო, მათ შორის 370.000 ქართველი და დედანების 20 წლის ძმა მარუხის უდალბეობაზე ბრძოლებში.

დიდი მონატრება გვაქვს მშობლებისა. ისინი ჩვენი მეგობრებიც იყვნენ, ძალიან უყვარდათ ჩვენი ამხანაგები და თბილად ხვდებოდნენ მათ.

ამ ქვეყნიდან მამა 85 წლის ასაკში წავიდა – სამშობლოს და ოჯახის წინაშე ვალმოხდილი.

ლენა ნაბაქალი,
რუსული ენის და ლიტერატურის
მასწავლებელი

შაშიშაშა ბაგრატიონის 70-ე წლისთავი

მოგონებანი ბარდასულ დღეთა



ბაზეთ "ბარდასი მანანა" მკითხველს მიმართ მინდა მიგაწოდოთ საბარდასი საბარდასი მინდა მიგაწოდოთ საბარდასი საბარდასი...

მანანა მკვდელიშვილი დაიბადა 1919 წელს სოფელ საგარეჯოში (ამჟამად ქალაქ საგარეჯოში) გლეხის ოჯახში. მამამისი - ვასილ მკვდელიშვილი იყო საგარეჯოს ტექნიკური პატიოსანი, რომელიც ბოლშევიკებმა 1924 წელს დააპატიმრეს ანტისაბჭოთა, ბოლშევიკების საწინააღმდეგო აჯანყებაში აქტიური მონაწილეობისათვის და როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის აქტიური თანამებრძოლი, დახვრიტეს 1924 წლის სექტემბერში, მინდორ "ბაღიანის" მახლობლად და დღეს იქ განისვენებს მისი ნეშტი სხვა გარეკახელ პატიოსნებთან ერთად.

მანანა მკვდელიშვილი ობლადდარჩენილ 3 დასთან ერთად იზრდებოდა და თავის დედასთან ერთად ინაწილებდა უმწოდ დარჩენილი ქვრივი დედის მძიმე ხვედრს. მიუხედავად ამისა, მანანა მკვდელიშვილმა დაამთავრა საგარეჯოს საშუალო სკოლა, საექსპონ კურსები და დიდი სამამულო ომშიც დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ მანანას "ხალხის მტრის" შვილს ეძახდნენ, ომის პირველი დღეებიდანვე სურვილი გამოთქვა მოხალისედ ჩაწერილიყო და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩამდგარიყო. სახელდახელო კურსების გადის შემდეგ ფრონტზე გაემგზავრა, რათა თავისი თანამებრძოლების სიცოცხლის გადარჩენის სადარაჯოყო დამდგარიყო. მანანამ თავისი საბრძოლო ნათლობა ჩრდილო კავკასიაში ავი მუშაის ქვის სამტეხლოების მახლობლად მიიღო და ერთ დღეს, როდესაც ბრძოლაში დაჭრილ თავის თანამებრძოლებს ჭრილობებს უმუშავებდა, ორი მებრძოლი გერმანელი ავტომატებით თავზე დაადგა და დაატყვევეს. გერმანელები ტყვედ ჩავარდნილ მანანას თავაზიანად მოექცნენ და უახლოეს შტაბს ჩააბარეს, სადაც მანანას ასევე თავაზიანად მოექცა გერმანულ ფორმაში ჩაცმული ორი ქართველი ოფიცერი, რომლებმაც მანანას განუმარტეს, რომ მას პირდაპირ ბერლინში ჩაიყვანდნენ. მართლაც, მანანა მკვდელიშვილი ბერლინში ჩაყვანისთანავე ჩარიცხეს სამხედრო ექიმ პენეკეს კლინიკაში.

მანანა მკვდელიშვილი ბევრი ტანჯვა და განსაცდელი გამოიარა ტყვეობაში გერმანიაში, მაგრამ ბედმა არ გაწირა საგარეჯოელი გოგონა. მას გამოუჩნდნენ მიგრაციაში მყოფი ქართველი ქალბატონები, რომელთაც აზრად მოუვიდათ პარიზის მახლობლად შატო ლევილში მარტოდმარტო მყოფი ექვთიმე თაყაიშვილისთვის შესაფერისი მდივანი და დამხმარე მოეყებნათ.

საბარდასი გოგონა ლევილი

მანანა მკვდელიშვილი ბევრი ტანჯვა და განსაცდელი გამოიარა ტყვეობაში გერმანიაში, მაგრამ ბედმა არ გაწირა საგარეჯოელი გოგონა. მას გამოუჩნდნენ მიგრაციაში მყოფი ქართველი ქალბატონები, რომელთაც აზრად მოუვიდათ პარიზის მახლობლად შატო ლევილში მარტოდმარტო მყოფი ექვთიმე თაყაიშვილისთვის შესაფერისი მდივანი და დამხმარე მოეყებნათ.

ქართველი პარტიზანი საბარდასი

ვინაიდან, რაც ბატონ ექვთიმეს მეუღლე გარდაეცვალა, მძიმე მდგომარეობაში უხდებოდა ცხოვრება და ზრუნავდნენ მისთვის შესაფერისი მდივანი-მომვლელი გამოეყებნათ და აი, ასეთი პიროვნებაც აღმოჩნდა - მანანა მკვდელიშვილის სახით.

ერთ მშვენიერ დღეს მანანა მონახულა ქართველმა მიგრანტმა ქალბატონმა ელენე ფერაძემ, რომელსაც კარგი ნაცნობ-მეგობრობა აკავშირებდა ექვთიმე თაყაიშვილთან და გადაწყვიტა მისი მონახულება შატო ლევილში. მანანა მკვდელიშვილიც თან წაიყვანა.

სტუმარ-მასპინძლები კეთილად შეხვდნენ ერთმანეთს - ელენე ფერაძე და უცნობი მანანა მკვდელიშვილი.

- გაიცანით, ძია ექვთიმე, მანანა მკვდელიშვილი საქართველოდან.

ტახტზე წამოწოლილმა ექვთიმემ ყურები ცქცქტა, ძლივსძლივობით წამოდგა და თანაგმობით შეხედა შავთვალწარბა გამხდარ გოგონას.

- აქ საიდან მოხვედი, შვილო, ამ ომსა და უბედურებაში?

მანანამ თავი მორცხვად დახარა და მიუგო მხცოვან მეცნიერს:

- სწორედ ომმა მომწვიტა მშობლიურ კერას, საგარეჯოს და უგზო-უკვლოდ მახეტიალა მთელ ქვეყანაზე, - ეს თქვა და შავი თვალებიდან ცრემლები გადმოჟარა.

ექვთიმემ დაუყვავა მანანას, ტახტზე დასვა და გამოჰკითხა თავგადასავალი. მანანა დაწვრილებით მოუყვა ექვთიმეს თავის თავგადასავალს - როგორ მოუკლეს ბოლშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი პატრიოტი მამა. როგორ დარჩა დედამისი ოთხი ობოლი შვილით ბედის ანაბარა, მიუხედავად ამისა, მანანას გულში არ ჩაუღვია შურისძიება ბოლშევიკური ხელისუფლების მიმართ და თავისი ნებით ჩაეწერა მოხალისედ

და იარაღით ხელში ებრძოდა პიტლერულ ფაშისტებს. ახლაც არ დაზოგავს სიცოცხლეს მათ გასაძევებლად საბჭოთა მიწა-წყლიდან.

- ბატონო ექვთიმე, ეს ტყვე გოგონა ერთმა ჩვენმა საერთო ნაცნობმა ჩემთან მოიყვანა და მოხოვა - გვეპატრონა მასზე. ძალიან კარგი გოგონაა და გადავწყვიტეთ თქვენთან მოგვეყვანა, პირად მდივანადც გამოგადგებათ და მომვლელუცა. ამიტომ მოვიყვანეთ თქვენთან.

- მადლობის მეტი რა მეტქმის, დიდად მსიამოვნებს რომ ჩემზე ზრუნავთ, მაგრამ მანანასაც ვკითხოთ, თანახმაა, რომ ჩემთან დარჩეს.

- უკეთეს ადგილს ვერც ვინატრებდი, მე თქვენი სახელი საქართველოშიც გამოვინია, მოხარული ვარ, რომ შეგხვდით, მზად ვარ, რითაც შემიძლია გემსახუროთ, ოღონდ სამუდამოდ დარჩენით აქ ვერ დავრჩები.

- არც მე ვაპირებ სამუდამოდ აქ დარჩენას, - მიუგო ექვთიმემ - აი, ომი დამთავრდება და ყველა ღონეს ვისმარ საქართველოში დავბრუნდებ იმ დიდი განძით, რომელიც საქართველოს ეკუთვნის.

ასე დარჩა მანანა მკვდელიშვილი შატო ლევილში და ერთგულად ემსახურა დიდ ქართველ მოღვაწეს.

მანანა მკვდელიშვილი ექვთიმე თაყაიშვილის ნებართვით მალე წაება ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ღრმა იატაკქვეშეთში პარტიზანულ მოძრაობაში და ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში.

მე, ამ წერილის ავტორი, მანანა მკვდელიშვილს საგარეჯოში მოღვაწეობის დროს ახლოს გავეცანი და ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობის დროს ხშირად ყოფილია ჩემი რესპოდენტი და ხშირად ვსაუბრობდით იმ მძიმე დღეების შესახებ, რაც ცნობილი და უცნობი იყო. მანანა მკვდელიშვილი დიდხანს ემსახურებოდა მშრომელთა ჯანმრთელობის სააგენტო საქმეს ჩვენი რაიონის მთის სოფლებში გომბორსა და კოჭბანში. გარდა ამისა, ახალგაზრდობისა და მშრომელთა წინაშე ხშირად გამოდიოდა საუბრებით, მშრომელთა წინაშე წამოჭრილ კულტურულ და საყოფაცხოვრებო საკითხებს გადასაწყვეტად ხშირად აყენებდა საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელების წინაშე.

მანანა მკვდელიშვილი ადრე გარდაიცვალა, მას კიდევ უკლებლო შრომაც და ნაყოფიერი მოღვაწეობაც, ძალიან უყვარდა ჩემთან საუბარი და ხშირად უთქვამს: - მე ძმა არა მყავს და თქვენ ხართ ჩემი სულიერი ძმა, ამიტომ მე არავითარი ქონება არ გამაჩნია. ჩემს ჯილდოებს, მთელ ჩემს მადლობებს და ჩემი დამსახურების სამადლობლო სიგელებს შენ გიტოვებო. და მართლაც, მისი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ მისი ოჯახის ახლობლებმა მთელი მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალები უკლეზბლივ გადმომცეს, რასაც დიდი მოწიწებით ვინახავ ჩემს საოჯახო არქივში.

ალექსანდრე ელერაშვილი, კულტურის დამსახურებული მუშაკი, მწერალი და მწიგნობარი

ომაი წასული კიოს პოლონიანი



შალვა ნიკოლოზის ძე სუხაშვილი დაიბადა 1921 წელს, სოფელ პატარაქულში. არ დასცალდა ცხოვრების ფერხულში ჩაბმა, სკოლის მერხიდან პირდაპირ ფრონტზე გაემგზავრა. ქალაქ ბუჩინაში შეჩერდა. აქ ჩარიცხეს უმცროს მეთაურთა სკოლაში, რაც 1942 წლის სექტემბერში დაამთავრა და ათეულს გაუძღვა ფრონტზე. იბრძოდა მოზდოკში. იქ დაჭრილა და დაუწვევიათ ბაქოს ჰოსპიტალში. აქედან კი ისევ ფრონტზე გაუგზავნიათ. 1943 წლის ივლისში სკოლასა და სოფლის საბჭოში მოვიდა ლეიტენანტ ვ. ჩიქოვანის წერილი და მადლობა მამაცი მებრძოლის შ. სუხაშვილის გაზრდისათვის. წვერრილში კი იგი მშობლებს სწერდა:

"სალამო მშობლებო! მსაყვედურობდით, რომ საბრძოლო დამსახურებისათვის მედალი მიგიღია და არ გვაცნობო. სულ ერთია, რომ მომეწერა, არ დამიჯერებდით, ტრაბახობსო, რაც მე არ მწვევია. მტერს ვერეკებით. კარგად ვარ, ჩემი დარდი ნუ გაქნებათ. თქვენი შალვა".

ორმოცდასამი წლის სექტემბერში შალვა ნიკოლოზის ძე "მცირე მიწის" დამცველთა შორის. 13 ნოემბერს შალვა წერს მამას: "რომ მეტყვი არ ვარგისხარო, ვერ იცხოვრებო, ნეტა ეხლა განახა ჩემი თავი. ყველა ჯოჯოხეთს გაუქმელი და ერთის მაგიერ ორი ჯილდო დაემსახურე. გავანადგურებთ პირსისხლიან პიტლერელებს და დავბრუნდებო". შემდეგ ქალქ ტამანიდან მოდის წერილი. 1943 წლის ბოლოს შალვა იბრძოდა კიევში. 12 დეკემბერს იგი წერს მშობლებს: "მტერი გარბის".

მამაცობის და გმირობის გამონჩენისთვის 1944 წლის 26 იანვარს შალვას აჯილდოებენ „დიდების“ მესამე ხარისხის ორდენით, ამავე წლის ოქტომბერში კი იგი იბრძოდა ვიტომირთან. აქ დაიჭრა. სულ ახლოს იყო გამარჯვება, როცა ბედმა უმუხთლა.

"დაიჭრა, მაგრამ კენესა არ წამოსცდენია. ვერც საკაცზე დააწვივინეს. თავისი ფეხით წავიდა 25 ოქტომბერს ჰოსპიტალში. მოიწერა ხაშურელმა ლეიტენანტმა ვ. ჩიქოვანმა. 1944 წლის 17 ოქტომბერს შალვას სახელზე დის - მარიაშის წერილი გაიგზავნა, რაც უპასუხოდ დაუბრუნდა ოჯახს...

ომის ძნელ ბილიკებზე ოთხიდან არაუარტი არ დაგრუნებულა

სოფელ გიორგიწმინდაში, სოფლის სასაფლაოს დაბლა ზაქარია და სირანა ღრულები გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ცხოვრობდნენ. სოფელი მათ სიხარულს შექმნაროდა - რვა შვილი გაიზარდა მათ კერაზე, ოთხი ვაჟი და ოთხი გოგო. ჯანმავარი, მშრომელი ბიჭები იყვნენ - ვასია, პეტე, გიორგი და ვანია. ოთხივე კოლმეურნეობაში მუშაობდა, მათ ნახვას არაფერი სჯობდა არც შრომაში და არც სიმღერაში. მინდორში შრომისგან დაღლილები სოფელს სიმღერით აიკვლიდნენ და ისე მიდიოდნენ სახლში. გოგონები გათხოვდნენ, საკუთარი ოჯახები შექმნეს - ერთი საგარეჯოში, სამი გიორგიწმინდაში ზრდიდნენ შვილებს. ახლა ვაჟების დაქორწინებაზე ფიქრობდნენ ზაქარია და

სირანა. მაგრამ... დაიწყო სამამულო ომი და ერთი მეორის მიყოლებით წავიდნენ ბიჭები ომში. გოგლა ბუჩაშვილის დედა შეხსნიდა სირანასთან კარებს, ერთმანეთს შესტიროდნენ და ამხნეუბდნენ ქალები. დამთავრდა ომი, გოგლა დაუბრუნდა მამის სახლს, ღრულებიდან კი იმ ოთხი ძმოდან, აღარც ერთი... თვალები ამოუღამდათ სირანასაც და ზაქარიასაც მათ ლოდინში... ახლა იმ სახლს „ცარელაანთ სახლს“ ეძახიან, საცოლშვილოდ გამზადებული ბიჭებიდან გამოცარიელებულს, ომის ბილიკებზე გმირული სიკვდილით გარდაცვლილთა მოსაგონრად.

თენგიზ გუნაშვილი, პენსიონერი



მართლმადიდებლობა

წმ. მეფე თამარი (1184-1213)



თამარ, ღამაზო ყვავილო, სურნელოვანო იაო, სიღამაზე და სიტურფე მხისგან გადავიდაო.

ხალხური

ქალო, ქართველთა სულის დგამე, ქალო, ქართველთა დედაო, ტყუილად გამბობთ შენს სიკვდილს, თამარს ცოცხალსა გვადგაო. გულში გვინთისარ ღამაზრადა, ნათობს და არა ჰქრებო, შენა ხარ ერის სიცოცხლე, თავი არ მამიკვდებო. მოწყალედ გვექმენ ქართველთა, ჩვენო ღამაზო დედაო!

თამარმა ომში მოპოვებული უთვალავი საგანძურადან "აღაგნა ყოველი ეკლესიანი და ხელი მოხოველთანი და განაძა ყოველი გლახაკი და ალუგსო წიადნი მათნი უხვებით". ომში გამარჯვების შემდგომ უფრო განივრცო

და აკაშაშდა თამარის სახელი იმდროინდელ მსოფლიოში. დამასკოს სულთნებს, რომლებიც ჩვეულებისამებრ ავიწროვებდნენ და ძარცვავდნენ წმინდა ადგილებში მიმავალ ქრისტიანებს, აეკრძალათ ქრისტიანთა ტანჯვა-წვალება. ამიერიდან ქართველებს სრული უფლება მიეცათ, რათა ცხენზე ამხედრებული, თავიანთი დროში, ყოველგვარი გადასახადის გარეშე შესულიყვნენ იერუსალიმში. თამარისავე თხოვნით სულთანმა სალადინმა ქრისტიანებს დაუბრუნა ის ჯვარი, რომელზედაც მიმსჯელებული იყო იესო ქრისტე (თამარმა ამ ჯვარის დასახსნელად 200 000 დინარი გადაუხადა).

... **გამარჯვებამა** უფრო დვითისმოსავი გახადა თამარი, დღისით იგი განაგებდა სამეფო საქმეებს, ღამით კი ღოცულობდა ან ხელსაქმობდა. თავის ნაკერ-ნაქსოვს გლახაკებს ურიგებდა და მადლობას სწირავდა უფაღს. ერთხელ ღოცვით და ხელსაქმით დაღლილ მეფეს ჩაქინა და ძილთაშორისი იხილა. მდიდრულად გაწოლილ სახლში თვალ-მარგალიტით შემკული ოქროს ტახტი იდგა. თამარი გაემართა მისკენ დასაბრძანებლად, მაგრამ ნათელი მოსილმა კაცმა შეაჩერა და უთხრა: "შენი არა არს საჯდომელი ისი. გაცოცხლებმა თამარმა იკითხა: ვინ უძღობეს არს ჩემსა, რომელმან დაიპყრას უპატიოსნესი საჯდომელი?" ხოლო ნათელი შემოსილმა კაცმა მიუგო: საჯდომელი იგი შენი მოჯალაბისა არს", რადგან მან თორმეტ მღვდელს სამოსი შეუკერაო და თამარს სხვა, ნაკლებ ბრწყინვალე ადგილზე მიუთითა, გამოიღვიძებულმა თამარმა თავისი ხელით დაიწყო რთვა-ქსოვა და თორმეტი მღვდელი შემოსა. ისტორიამ ერთი ასეთი ამბავიც შემოგვინახა. ერთხელ თურმე თამარი სადღესასწაულო წირვაზე აპირებდა წასვლას გულთბო და დაღებულს ამბავებდა სამეფო შემოსაკრავზე, როცა ამცნეს: მონასტრის კოშკის კართან მდგარი დედაკაცი წყალობას ითხოვს. მეფემ ბრძანა დაეცადა მათხოვარი, თუმცა, როცა პაღლატიდან გაბრძანდა და წყალობის გაცემა იხება, მათხოვარი ვეღარ იპოვეს. შეცბუნებული

მეფე თავის თავს საყვედურობდა, რომ ამ ღარიბ-ღატაკი ქალის სახით უარს უთხრა თავის უფალ იესოს. მოიხსნა ის, რამაც დააბრკოლა - სამეფო სარტყელი და დვითისმობლის ხატს შესწირა.

თამარი საეკლესიო ღოცვებს და წესებს დაუკლებლივ აღასრულებდა ვრცელ ტიპიკონზე სახლის ეკლესიის მწუხრზე, ცისკარზე და წირვას არასოდეს დააკლებოდა. თითქოს მცვენივით გრძობდნენ თამარის სათნოებას: შამახის მბრძანებელს თამარისათვის ღობის ბოკვერი მიუძღვნია. ღობი საშინელი გაიხარდა. ახლოს არავის იკარებდა, მაგრამ როდესაც დარბაზში შემოიყვანდნენ, ღობი მიიწვედა თამარისკენ. იგი ხელს კიდებდა და პირში ხელს უყოფდა. ღობი იდგა მშვიდად თამარის ხელის ქვეშ და არა რა მხეცებრე ნასალი მან ვერ გამოიჩინა.

... **ბრძოლებში** წარმატებებს მხოლოდ საკუთარ თავს როდი მიაწერდა მეფე. ბუნებრივ გამარჯვებების შემდგომ ეკლესია-მონასტრებს აშენებდა წმინდანთა სახელებზე. თამარმა აბაერ-თი ტაძარი ააგებინა არა მარტო საქართველოში, არამედ დაღესტანში, ოსეთსა და ჩერქეზეთს, სადაც დღესაც საკუთარ მეფედ მიაჩნთ იგი. მის დროს აშენდა კლდეში ნაკეთი ქალაქი ვარძია, რომლის მონასტერში დიდმარხვას ატარებდა მეფე. თამარი მუდამდღე შეუსვენებელი იდგოდა, არცა თვითონ უძიებდა და არცა თავის ყრმათა აუქმებდა. საინგილოსა და აჭარაში დღესაც არის შემორჩენილი თამარის დროის ხიდები ... და დღესაც ჩვენთვის ყველა ღამაზ ყვავილს თამარი ჰქვია.

... **თამარი** უმურველად გაცემდა საბოძვარს, თვითონ კი სჯერდებოდა თავის ძველ მამულს, რადგან "შორად განიოტა წურბელის მსგავსი ვერამადრისობა". გულმოწყალე მეფემ ეკლესიებში და მამარუნველ დარბაზსა და ნუგუმისსაცემად და მსგავსად დიდი პაპის დავით აღმაშენებლისა, თავად აკითხავდა სწულთ. თამარის დროს სახელმწიფოში მცხოვრები თვით ყველაზე უმნიშვნელი პირიც კი არ შეიძლება ბოდა გამხდარიყო ძალმომრების და უსამართ-

ლობის მსხვერპლი. " მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქრითა " - ამბობდა ღმილით მეფე. თამარის დროს სახელმწიფო შემოსავლის ერთი მეათედი მარცვლის მოუკლებლად ღარიბებსა და გლახაკებს ურიგებოდა.

... **თამარის** ეპოქისეული შემოქმედება ბეჭდა და ბეჭენ ოპიზრებისა ნებისმიერ საუკუნეში აღაფრთოვანებდა მნახველს. თამარის დროს უფრო აყვავდა მწერლობა და მეცნიერება. წარმოჩნდნენ: რუსთველი, შაველი, ჩახრუხაძე. თამარის დროის მსოფლიოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო კაცის სიკვდილით დასჯა ან დამახინჯება, მისი მეფობის ხანაში კი "არც ავის დირსაა სიკვდილისა... მიხვდა თანანადები, არც ვინ ბრძანებთა მისთა ასომოკვეთილ იქნა."

... **"მისი**, ვითარცა მანათობელი დედოფლისა, მხოლოდდა თამარის ქება ამოდიოდა ქარველთა პირიდან " - შეინახავს მემბრანე. წმინდა თამარი იყო საკვირველად თავმდაბალი, გულმოწყალე, შემწერებელი. მოსაუბრე "სიტყვითა ოქროსქართითა". ხეობრივად სათნო და სპეტაკი. გარეგნობით "ქმულ-კეთილი" და "ყოველითურთ უნაკლო".

...**თამარ** დედოფლის მიმართ უსახდრო სიყვარული ქართველმა ერმა არავითარ ქართულ ლექსსა და თქმულებაში გამოხატა. ხალხმა მის სახელში შეუთავსებელი შეათავსა და ქალს, დედოფალს, მეფე უწოდა. თამარი გახდა ყველაზე უფრო სახალხო მეფე საქართველოში.

...**"თამარ** ქალი, ქვეყნის თვალთა," ასე უძღვრენ მას დღესაც კახელი თემოკები. "ყველაზე კარგო თამარ დედოფალი (ჩიდან ჩენ თამარაი)" ესიყვარულენიან სვანები თამარ შვიდმნათობიერს. საინტერესოა, რომ ხევსურებს, თამარის სახელზე ჰქავდათ ცხვრის ფარა, რომელსაც თამარის ცხვარს ეძახდნენ. მის სალოცავთან ახლოს საგანგებო ნიში იდგა. იქ კლავდნენ ბატკანს და თამარს შესთხოვდნენ, ცხვარი განიმარჯვებოდა, დაეგლოს ნუ მიმაკლებო. მთოვლები კი თამარს პირიშვს ეძახდნენ და მის მადლზე ღოცულობდნენ.

... **და** არა მხოლოდ ქართველები, როგორც მოგვითხრობს ბასილი ქოსსომოღვარი, ერანს მყოფნი მეუბნებიან თამარის შესხმას მუსიკელობდნენ, ფრანგნი და ბერძენნი თამარის ქებათა იტყვიან. ასე ყოველი სოფელი სახე იყო მისი ქებით და ყოველი ენა ადიდებდა. თამარის სახელს ხშირად მოიხსენიებდნენ შემდეგ საუკუნეებშიც, როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ წყაროებში. საქართველოზე შეყვარებული ვერმანელი მეფეგვარი არტურ ლისტი წერდა: " თამარის სახელი არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ კავკასიის ყველა მკვიდრის მუხისებრებაში სულისშემძვრელი ხიბლით არის დავანებული. თამარი მათთვის არის უღამაზესი, განუმეორებელი ქალური კდემით დამშვენებული. ისტორიაში არ არის ცნობილი, რომელიმე ერს თამარ მეფის მსგავსად ასე გაემდებებინოს ქალი. ასეთი ვაკერება არ არის შედგვი თამარის პიროვნული ღირსებების გადამტეხვის, თქმულების ფანტასტიკურობის, ან წარსულის განდიდებისა, თამარის თანამედროვენიც ვერ პოულობენ სიტყვებს მეფე ქალის შესამკობად."

... **მისხმთ**-ჯავახეთში მოგზაურობისას აქაურები ერთ ღვეკანდას გაიამობენ: მომავალი დედოფალი ბიძისთან ერთად ასპინძა-ახალციხის მხარეს სწევდა. დამხედურებს ცხენი ჩამოუთოვდა და ძველი თოკით საბძელზე მიუბამთ. აუწვევდა ცხენს ძველი თოკი, გაქცეულა და ერთ ალაგას იდუმალად დამალულა. თამარი კი თურმე თავის ცხენს ამოდ დავებდა ვარძიაში. თამარის სტუმრობის აღსანიშნავად ასპინძიდან ახალციხისკენ მიმავალ გზაზე შეხვედებით სოფლებს: ძველი, თოკი, აყევრა, ქუნვა (დაქუც-მატებელი თოკი), იღუმალა და დამალულა. რაც სემანტიკურად გადმოგვცემს ამ დეკავრსა.

გამუდმებულმა შრომამ, დედავლამ, ლიტანიობამ, მკაცრმა მარხვამ და მონასტრის ქვის სარტყელზე წოლამ ჯანმრთელობა შეურყია თამარს და ნაჭარმაგვეს, თავის საზაფხულო რუსიანებისაში ყოფნისას გამოაჩნდა მძიმე სენი. დიდხანს არ ამხელდა ავადმყოფობას მეფე მაგრამ როცა ავადმყოფობა გამწვავდა, იძულებული შეიქნა გაემხილა სატკივარი. ნაჭარმაგვედანი თილისის ჩამოიყვანეს თამარი, მაგრამ ვერარა უშველეს ყოველი კუთხიდან გარსმხეველმა მკურნალებმა. ქართული წყაროების მიხედვით მამა-პაპათა საძეაღეს, გელათს დაკრძალეს თამარის ნეშტი. მეორე ვერსიით - ღამა-გორიში დღის ცხედარი იერუსალიმს წაასვენა. სვანები უშუალოდ ეძებენ თამარის საფლავს. ლეგენდა კი გვეუბნება: ცხრა ოქროს კუბო გავიდაო მაშინ სამეფო სასახლიდან და მეკუბოვეების მეტმა არავინ იცოდა, რომელში ესევნა დიდებული მეფე.

მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა მეფე თამარი და თამარობას პირველ (14) მაისს ვხეობთ. წმინდა მეფე თამარის ხსენებას აღვნიშნავთ აგრეთვე მენელსაცხებელ დედათა კვირიანს.

ვიცნობდეთ ჩვენს მიწა-წყალს ნაპროალი და ალკეითილები

(დასასრული)

დასაწყისი იხილეთ "გარეჯის მაცნე" №8-ში

რით და რა საშუალებებით ახდენს თქვენი სამსახური აღნიშნული დაქვემდებარებული დაცული ტერიტორიების მენეჯერებთან დასაწყისსა და მონიტორინგს?

სამსახურს აღმინისტრაციის გააჩნია სათანადო დაფინანსება და გვეყავს რეინვესტირება კადრები, რომლებიც ახდენენ აღნიშნული ტერიტორიების სადღეღამისო რევიზიის კონტროლსა და მონიტორინგს. ასევე დამონტაჟებულია ფოტოხაფანგები. სამსახურს გამოყოფილი აქვს მაღალი გამავლობის ორი ავტომანქანა, საჭაპანო საშუალება - სამი ცხენი. ისე, რომ ამ საქმეში რაიმე არსებითი პრობლემა სადღესოდ არ გავაჩინა.

და მიუხედავად ამისა, როგორც საქმეში ჩახვედით ადამიანები აღნიშნულ ნაკრძალსა და ადგილობრულად ამ უკანასკნელ ნაწილში ფლორის და ფაუნის ზოგიერთი სახეობის კლუბა და მათი გადაშენების საშიშროება შეინიშნება. თუ არის ადრეცხული და რომლებია მათგან წითელ ნუსხაში შეტანილი?

ესენია: მცენარეებიდან - უთხოვარი, მაღალმთის მუხა, ჭაღის მუხა, ლაფანი, საგსადაჯი, კაკლის ხე, ძუძუმწოვრებიდან - მურა დათვი და დელაინის კატა, ფრინველებიდან - ბუქობის არწივი. საქართველოს წითელი ნუსხის მიხედვით მათი ამ სტატუსის მინიჭების ძირითადი მიზეზები მათი გავრცელების მცირე ფრაგმენტული არეული, მათი მცირე პოპულაცია და გლობალურად მოწყვლადობა (ბუქობის არწივი). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთან ჯერ-ჯერობით არც ერთი სახეობა არ ღვას გადაშენების საშიშროების წინაშე.



როგორც ცნობილია, თებერვალ-მარტის თვეებში ყორულისა და იორის სახელმწიფო ალკეითილები მუდამდღე სადღეღამისო სამუშაოები. რა ცვლილებები შეიტანა ამ სამუშაოებმა მათ საზღვრებში?

ამ სადღეღამისო სამუშაოების ნაწარების მიზეზი იყო მტკიცე სადღეღამისო საზღვრის უქონლობა აღნიშნულ ადგილობრულსა და მათ მოსახლურე ფერმერებისა და მიწის მფლობელების ნაკვეთებს შორის, რის გამოც ისინი ვერ ახდენდნენ მათ მფლობელობაში არსებული ფართობების რეგისტრაციასა და გასხვისებას, ახლა კი აეროფოტოგადღებებით ეს საზღვარი მოწესრიგდა. სულ მოკლე ხანში სათანადოდ დარეგისტრირდება და ამიერიდან ამ ფერმერებს ეს პრობლემა საბოლოოდ მოესხნება.

მარიამჯვრის სახელმწიფო ნაპროალი

დღიდან დაარსებისა, მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი, ყორულისა და იორის ალკეითილები მუდამდღე ქართველთა თუ უცხოელ მეგობართა და მეცნიერთა ყორულების ცენტრში. ახლაც ტარდება აქ მსგავსი სამეცნიერო-კვლევითი დაკვირვებითი სამუშაოები?

კი, როგორც არა. აქ სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ და ახლაც აქვთ ჩვენთან დამკვირვებელი კავშირი ქართველ თუ უცხოელ მეცნიერებს. ამ ორიოდვე წლის წინ მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალში თავის ასისტენტთან ერთად იმყოფებოდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანელი პროფესორი, აკადემიკოსი ვლადიმერ შმიდტი, რომელმაც დაათვალიერა ნაკრძალი, ყორულის ადგილობრივი და მოახდინა იმ ეკოსისტემების რეკონსტრუქცია, სადაც სტუდენტები გაივლიან სამეცნიერო პრაქტიკას. 2012 წლის სექტემბერში IUCN-ის წარმომადგენელმა დევიდ როდრიგესმა და ევატერინე კაკაბაძემ დაათვალიერეს ყორულისა და იორის ალკეითილების



ტერიტორიები, სადაც შეარჩიეს დეგრადირებული ფართობები მათი შემდგომი გატყვევების მიზნით. ჩვენი სტუმრები ასევე იყვნენ უკრაინელი სწავლულები, ქართველი მეცნიერებიდან აკადემიკოსი კიახო ურუშაძე, პროფესორი ია გავოშიძე, ილიას და აგრარული უნივერსიტეტების სტუდენტები და მეცნიერ-თანამშრომლები, გარდა ამისა, აღმინისტრაციის თანამშრომლები ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობას ვატარებთ მოსახლეობასა და მოსწავლე-ახალგაზრდობაში, ადამიანთა არსებობაში სახელმწიფო ადგილობრუების როლის და დანიშნულების შესახებ. მათი მონაწილეობით და დახმარებით, სხვადასხვა თარიღებთან დაკავშირებით ვაწარმოებთ ჩვენი ტყეების გამწვანებისა და დასუფთავების აქციებს. ყოველწლიურად ვადგენთ " ბუნების მატინგს", სადაც ფართოდ შექმნება ჩვენს მიერ ნატარებული მუშაობა და მისი შედეგები, ის ცვლილებები, რაც მოხდა წლის განმავლობაში ამ ტერიტორიების ეკოსისტემაში, რომელთა მიხედვითაც დგება ახალი წლის სამუშაო და სამოქმედო გეგმები. აღმინისტრაციის თანამშრომლები შეძლებისდაგვარად მონაწილეობას ვღებულობთ სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებში. შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში ჩემს მიერ 2012 წელს წარდგენილმა პროექტმა "ლა-გოდების სახელმწიფო ნაკრძალის მცენარეულ საფარში შთანთქმული ნახშირბადის (C-CO2) მარაგების დადგენა" გაიმარჯვა და დაფინანსება მოიპოვა. პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებას. ამ თემაზე ჩვენი და მეზობელი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლეებს უტარდებათ ლექცია-სემინარები, შექმნილი გვაქვს ეკოკლუბი " სათავე ", სადაც საგარეჯოს ექვსი სკოლის მოსწავლეები არიან გაერთიანებული.

ერთი სიტყვით, მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის აღმინისტრაციას ყველა სათანადო პირობა აქვს და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა ჩვენს მომავალს სრულად შემოიფარნახოს ჩვენი ბუნების ის ხელთუქმნელი საგანძური, რაც ქვეყნის შემოქმედმა ასე უხვად გვიწყალობა აღნიშნულ ნაკრძალსა და ადგილობრივი ტერიტორიების სახით.

ესაუბრა ბიძი ლახიძევილი.

მედიკოსი

ჩვენი გაზეთის დისტრიბუტორს ლია ბრძოლიშვილსა და მამუკა ბაღდასაძეს ვულოცავთ ოჯახის შექმნას. ვუსურვებთ ოჯახურ ბედნიერებას, აკვანთა სიმრავლეს.

ბაზემი „გარეჯის მაცნეს“ თანამშრომლები



მადლობა

მადლობას ვუხდით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებებს ბიორბი ბიორბიშვილს ჩემი ოჯახისადმი გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისათვის.

გფარავდეთ უფალი და წმინდა გიორგის მადლი შეგეწიოს.

ნახიკო ალიშვილი, საგარეჯო

არიან ადამიანები, რომლებიც ადამიანობით, გულკეთილობით, გვერდში უდგანან თავიანთ თანაქალაქელებს ჭირსა თუ ლხინში. ასეთთა შორის არიან საგარეჯოელები ბია ხოთაროშვილი, ტრისტან ტაბატაძე, მძღოლები, ახალგაზრდები, ჩემი უბნელები და სხვები. მადლობას ვუხდით მათ იმ დიდი სიკეთისთვის, კეთილი გულისთვის, რომელიც მათ ჩემს მიმართ აქვთ. დმერთმა დალოცოთ.

ბივი პარანაძე, პენსიონერი

ქართული ჭიდაობა ნიბა საქართველოს ჩემპიონია



8-10 მაისს ქ. ჩხოროწყუში ჩატარდა საქართველოს პირადი პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ აღსაზრდელი ნიკა ბასილაშვილი (მწვრთნელი ლევან ბასილაშვილი). ნიკამ 55 კგ წონით კატეგორიაში მიიღო მონაწილეობა, 5 შეხვედრიდან ხუთივე სუფთად მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა.

მედეა კახიძე

ჩამოშნაღაც ბუნდური ვარ იმით, რომ ვიცნობდი და ბევრჯერ შეხვედრივარ მას, იმდენად გულდაწყვეტილი ვარ, რომ, აგერ, ახლახანს ის უცხო ქვეყანაში გარდაიცვალა. წავიდა ჩვენგან, მაგრამ დატოვა ღამისი და ღრმავაროვანი პოეზია, რომელშიც სევდას გამართლებას გამოუძებნი, სიკეთეს ბავშვივით დაედევნები, სინანულის და სიხარულის შეხიდეები, სიყვარულს თვალეში ჩახედავ და საკუთარ თავს იცნობ. დიას, სამწუხაროდ, წავიდა ჩვენგან დიდი ქალბატონი და დიდი პოეტი მედეა კახიძე, მაგრამ მისი პოეზია უკვდავია და ამით შეიძლება ვანუგეშოთ საკუთარი თავი.

მადლი თქვენი პოეზიისა არასოდეს მოაკლდება ჩვენს სამშობლოს, ჩემო ძვირფასო მედეა!

მედეა კახიძეს

მფრთხალი სიზმარი შორს, იმედის კოშკში, გაიხიხნე, ცხოვრების ეს გზა მართლა განა მარტო ბედა?

უსინანულოდ ვერ იქნები, ქალო კახიძე, სიყვარულისთვის განწირულ ხარ, ჩემო მედეა! ო, ამ ქალსში გული ნეტა როგორ გაგიძლებს, გული კი არა, ვე ტკივილი რაღაც მეტია; ერთი შეკრთომაც არ გეპატოს, ქალო კახიძე, მოუსყიდველო ანგელოზო, ჩემო მედეა! პოეტი კვლავაც დარჩენილა შურის სამიზნედ, ტაძარში განა სუვევლანი სანთლით შედიან, შენც მზის ტილოსე იხატები, ქალო კახიძე, შენს ღამას ხევდას ვენაცვალე, ჩემო მედეა!.. გზად მწვერვალისკენ მეგზურობას ვერვინ გაგიწევს, სადღაც კი ვიღაც შენი ფიქრის მოიმედვა, გაზაფხულიდან გაზაფხულში, ქალო კახიძე, ნიაღვარივით მოვარდნა ხარ, ჩემო მედეა!...

პატივისცემით,

რომან ზუკაკიშვილი

მოვლივარ ქართულ მიწაზე სიხმრად კახეთი მესხმრა, ვაზებს შორიდან შევტირე, გამოვყოლილვარ მცხეთის გზას, როგორც მცხეთელი მეტივე-ქსანი გავცურე თავთხელი, მოვლივარ, ხმას ფხას ვუსინჯავ, ხეზე, ვით მთვრალი კახელი, მღერის ჭრიჭინა გულდინჯად, მოვლივარ გზას ვერ ვათავებ, და ზეცა მხრებით მიჭირავს, პირზე იყუდებს მთა მთვარეს, ვით ბერიკაცი ჭინჭილას, მეზურემ, მექოთნემ, მეზადემ

ჭადრაკი

III ადგილი პარანაძეს



მარნეულში ჩატარდა 10 წლამდე ასაკის საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში ჭაბუკებს შორის, რომელშიც მონაწილეობას იღებდა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მოსწავლე ლევან დაღბაშვილი (მწვრთნელი ვლენე ვარკეშიშვილი). შეგახსენებთ, რომ ლევანი კახეთის ჩემპიონია 10 წლამდე ჭაბუკთა შორის. მან მარნეულში 9-დან 6.5 ქულით III ადგილი დაიკავა. მწვრთნელის თქმით, ბოლო გადამწყვეტი პარტია ყაიმით რომ დამთავრებულიყო, ლევანი საქართველოს ჩემპიონი გახდებოდა, მაგრამ მან ნერვიულობისა და დაძაბულობის გამო, ვერ მოახერხა ბოლო პარტიის მოგება

ბამოსათხოვარი

„მარტალთა მიაღვი“



გული იმედით ამივსო, ბუნინასავით შეგბავლე არმაზს, სარკინეთს, მამისონს. ხან ჩუმ სიმღერას შეგბედავ, ხან მლოცველივით შევტირებ, მოვლივარ, მოვდეგ ბებურ მტკვარს, როგორც მცხეთელი მეტივე.

„ჩემი მიწის სადღეგრძელო“

კვეცა-კვეცა-ვერ ღავკვეცა საქართველოს საოცნებო გზები, გრძელი, როგორც ჩვენი „მრავალკუთხედი“, ხვავრიელი, როგორც პურის ძნები. ვეებნე, ვეებნე, ვერ მოვებნე ოცნებაში დახატული მოყმე, მინდა, ვიყო თავანკარა გაზაფხული, ჩემი მიწის სადღეგრძელო მოვკვედ მუშლი მუხას ხევეოლა, ყორანივით დაგვეიოდა მტერი, კაფეს, კაფეს, ვერ ღავკაფეს ეჭვებით ჩახლართული ტვერი, ლეწეს, ლეწეს, ვერ ღავლეწეს, განა მართლა თავზე ჩამოგვექცა-ვარსკვლავების ჩიხტიკობით დახურული, საქართველოს მადლიანი ზეცა. მინდა, ვიყო გმირი თინა წავკისელი, შორი გზიდან მივიოდეს მოყმე, ვიყო მისთვის თავანკარა გაზაფხული, ჩემი მიწის სიცოცხლისთვის მოვკვედ.

ლადო მარხვაშვილი



საბარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებამ, სამეურნეო დარგის მუშაკებმა ამ დღეებში კიდევ ერთი მძიმე დანაკლისი განიცადეს. ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შედეგად სიცოცხლის 63-ე წელზე გარდაიცვალა გამოცდილი სამეურნეო მუშაკი – ლადო (ვლადიმერ) გიორგის ძე მარხვაშვილი, რომლის სიცოცხლის უმთავრესი წლები საგარეჯოს რაიონის აქტიურ სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული.

1952 წელს პატარძელში დაბადებულმა, დაამთავრა თუ არა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტოსაინჟინრო ფაკულტეტი, საგარეჯოს ავტოსარემონტო ქარხანაში ინჟინრად დაიწყო მუშაობა, საიდანაც დასაბამს იღებს მისი აქტიური საზოგადოებრივი და სამეურნეო მოღვაწეობა. მუშაობის დაწყებიდან სულ მალე, ქარხნის ახალგაზრდა ინჟინერი და კომკავშირის კომიტეტის მდივანი, საგარეჯოს ალკ კომიტეტის მეორე მდივნად გადააქვეყნა, საიდანაც უნარიან და კომკავშირულ წრთობაგამოვლილს პარტიის საგარეჯოს რაიკომის ტრანსპორტის და მრეწველობის განყოფილების გამგედ აწინაურებენ.

ბატონი ლადო იყო ის პირველი მდივანი, ვისაც გასული საუკუნის 80-იან წლებში აღორძინებული უდაბნოს ახალშექმნილი საბჭოს აღმასკომის პირველი თავმჯდომარეობის პატივი ხვდა წილად და მთელი რიგი წლების მანძილზე დაუღალავად შეჰქონდა წვლილი მისი აღორძინება-განაშენიანების საქმეში.

შემდეგ იყო კიდევ ერთი მძიმე და საპასუხისმგებლო დავალება – პარტიის რაიკომში მესამე მდივნად მუშაობა, რომელსაც რაიონის მაშინდელი სოფლის მეურნეობის კურატორობა ევალებოდა, აქედან ლ. მარხვაშვილი სამუშაოდ საგარეჯოს აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარედ გადაიყვანეს, რომელსაც იგი რამდენიმე წელს ხელმძღვანელობდა.

საქართველოსათვის ყველაზე მძიმე წლებში ლ.გ. მარხვაშვილს საგარეჯოს გამგებლად ნიშნავენ. მას საკუთარ მხრებზე მოუხდა ყველა იმ განსაცდელისა და სიმძიმის გადატანა, რასაც იმ დროს მთელ ქვეყანას „მხედრონის“ და სხვა უკანონო ფორმირებათა თავგასული წვერები იქ მოდნენ. საგარეჯოს გამგებლად მუშაობის შემდეგ რამდენიმე წელს „წისკვილკომბინატის“ ხელმძღვანელად იმუშავა, რის შემდეგაც მთლად ჩამოშორდა აქტიურ საზოგადოებრივ – პოლიტიკურ საქმიანობას და კერძო ფერმერულ მეურნეობაში ჩაება. ბოლო წლებში ორი ღირსეული შეიღის და ოჯახის პატრონი უკურნებელი სენით დაავადდა, რამაც საბოლოოდ მოუსწრაფა სიცოცხლე. წავიდა უდროოდ ამ ქვეყნიდან და დატოვა კეთილი მოგონებები, რაც სამარადეაოდ გაკვევბათ მის მეგობრებსა და მადლიერ შთამომავლობას.

მსუბუქი ყოფილიყოს მის გულზე დაყრილი პატარძელის მშობლიური მიწა.

მეგობრებო

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი: თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,



გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru